



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

J U I N

1937—N° 136

ი ვ ნ ი ს ი

1937 წ.

№ 136

# დამოუკიდებელი საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ დ ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე მ ი ს ო რ გ ა ნ დ .

შ ი ნ ა ა რ ხ ი :

მეთაური—დასასრულის კარზედ.  
გენდ—წერილი საქართველოდან.  
დარბაისელი—ნავსი გატყდა.  
კავკასიის ერთობა და აწერბაიჯანი.  
26 მაისი პარიზში.  
გ. თ.—სომხს ქართული კოლონია.  
—ლი—26 მაისი ქ. მონპელიეში.

ძე—26 მაისი პრალაში.  
ხ. შავიშვილი—ეგვიპტე ერთა ლიგაში.  
ნაური—წერილი ამერიკიდან.  
ბერლინის ამბები.  
საქართველოს ამბები.  
ბიბლიოგრაფია.  
კავკასიის დღესასწაული.

## დასასრულის კარზედ

კარგა ხანია, უცხოეთის ასე დიდი ყურადღება არ მიუპყრია საბჭოთა კავშირს და მის დიქტატორს სტალინს. ყველა კითხულობს, ზოგი შიშით, ზოგი სიხარულით, რა ხდება იქ, ხმელეთის მეექვსედში, კრემლის კედლებში, და პასუხი ერთი და იგივე არ არის, უკვეთ—ერთი მეორის წინამდევი, ერთი მეორეზე მოულოდნელი. ბევრი უკვე სთვლის სტალინს განუკუთრებელი სენით შეპყრობილად, სპეციალისტიც კი გამოიწერეს ვენიდანა, ან კიდევ შეშლილად, გიჟად. სხვები კი გაიძახიან, სამხედრო გადატრიალება მზადდებოდა და სტალინმა იგი ძირშივე ჩაახრჩოვა. რაც შეეხება ქვეყნის გაცემას, დაღატაკს, ამას უფრო მოსკოვის აგენტები—კომუნისტები აწვეებიან, თუმცა დახვრეტელ ტუხაჩევსკის გერმანოფილობა არავისთვის იყო საიდუმლოება.

მაგრამ ყველა ეს გაკვირვებითი ნიშნები მაინც ვერ შეასუსტებს იმ ფაქტის უზომო მნიშვნელობას, რომ, 48 საათის განმავლობაში, გაასამართლეს და დახვრიტეს რვა სარდალი წითელი ჯარისა, მოკვდნენ მას თავი და მისი ეგრედ წოდებული ძღვევამოსილება უომრად დამარცხებით გაათავეს. ვინ არ იცის, რომ ჯარი უსარდლოდ უბრალო ბრბოა, საშიშარი უფრო შინ, ვინამ გარედ, და ეს უკვე გვაჩვენა ოქტომბრის დღეებმა. საეჭვოა, და ეს არა ერთხელ გვითქვამს აქ, რომ მოსკოვის «მარშლები და კომდარშები» ნამდვილი სარდლები ყოფილიყვენ—სამოქალაქო ომში უიარაღო ხალხის ხოცვა-

ყლეთა სამხედრო ნიჭისა და სიმამაცის მაჩვენებელი არ არის, პირიქით!—მაგრამ, როცა დახვრეტითა ადგილზედ ვახმისტრი ბუდიონი და ზნედაცემული მატროსი დიბენკო გვევლინებიან, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ საბჭოთა სამხედრო ძლიერება ყინულზედაა დაწერილი.

ეს რწმენა ფეხს იკიდებს, განსაკუთრებით, პარიზსა და ბერლინში და დასკვნაც სათანადო გამოაქვთ. განა საგულისხმიერო არ არის ბლუმის სამინისტროს დაცემა სწორედ ამ დროს, მისი ერთ-ერთი დასწყრდობი ბურჯი ხომ მოსკოვის მორჩილი ტორენის პარტია იყო! თუ მიაყურებთ საფრანგეთის სამხედრო წრეებს, მათ წინედაც არ ჰქონდათ დიდი იმედი წითელ მოკავშირისა და ესლა, ცხადია, პოლიტიკური წრეებიც იზიარებენ ამ იქვს. ბერლინში კი უფრო აშკარად და საჯაროდ ამქლავნებენ საბჭოთა სამხედრო უძლურებას და კიდევ იყენებენ მას, რათა მოსკოვის ჩამოაშორონ უკანასკნელი მოკავშირე, თუ კიდევ ვინმე დარჩა ასეთი.

გამოდის, ამ რიგად, რომ ნამდვილი გამოცემა და მოლაღატე თვით დიქტატორი სტალინი ყოფილა! არასდროს წითელ ჯარს ისე არ გატყენია სახელი, როგორც სარდლების დახვრეტის შემდეგ, და ეს კი ხომ «დიდმა სტალინმა» ჩაიდინა. რატომ ჩაიდინა, ამაზე ჩვენცა გვაქვს ჩვენი აზრი, განსხვავებული უცხოეთის აზრებისგან.

გაიხსენეთ სარდლების ულტიმატუმი, თვით

ვორთქილოვის მეთიურობით, ამაწლის დამდგეს: სტალინის მოსთხოვეს ოფიცერთა კორპორაციის გეპუეს ზედამხედველობიდან სრული განთავისუფლება. სტალინი უთუოდ სახტად დასტოვა ამ ჯლტიმატუმმა. განა ის არ იყო თვითონ, ოფიცრების ყველა პრივილეგიები რომ აღადგინა, მინიჭა მათ ჩინი და დეკორაციები, უზრუნველჰყო ისინი პენსიებით, შვილების განსაკუთრებულ სკოლებში აღზრდით, შეძენილი ქონების მემკვიდრეობით და ბევრი სხვით? აიღეთ თვით ჯარიც, განა არის საბჭოთა კავშირში მეორე ისეთი ფართე წრე, რომელიც ისე კარგად იკვებებოდეს, აცმევდენ ან ჰქონდეს ისეთი პატივი, როგორც მას? არა და არა. მიუხედავად ამისა, სარდლებმა გაბედეს დიქტატორზე იერიშით მისვლა, დააპირეს მისი უშუალო კონტროლისგან განთავისუფლება, განა გავილია ასეთი შავი უმაღურობა! რა უნდა ეფიქრა სტალინს? განა ცხადი არ იყო მისთვის, რომ «მარშლებსა და კომდარმებს» განდიდების მანია თავში ასვლიათ და მისი დიქტატურის გაუქმება განუზრახავთ?

სტალინმა დაუთმო, ის არ იყო მომზადებული ასეთი სიურპრიზისთვის, მაგრამ იცით, როგორ სასტიკად იძია შური, და ეს ზომ მისი სტიქიაა! სტალინი ყველაფერს გასწირავს, თავის სამშობლოც გასწირა, ოღონდ თავის თვითმპყრობელობა შეინარჩუნოს. რას აქნევს ის ქვეყნის თავდაცვას, წითელი ჯარის ძლევამოსილებას, თუ თვითონ არ არის ბატონი და პატრონი? ასეთი ყოფილა და არის დიქტატურის ბუნება, ხოლო სტალინმა ბევრ მათგანს გადააბიჯა თავისი დაუზოგველი სიმკაცრით. აიღეთ მარტო ის ფაქტი, რომ მსაჯულებად მან ისევ სარდლები დასვა, დახვრეტილთა მეგობრები, მათი მოადგილენი, და მით თვალად დაანახვა მათ სიკვდილის ცელი, თუ თავის თავხედობას განიმეორებდენ.

ნუ დაივიწყებთ, სტალინი თვითონ ლამობს თავის «თერმიდორის» მოხდენას, გადატრიალებას. ორ წელზე მეტია, რაც ის ამ სამზადის შეუდგა, კიდევ იმ დროიდან, როცა «ქვეყნიერებაზედ უდემოკრატიესი კონსტიტუციის» შედგენა დაიწყო. მან ეს «საეპოქო საქმე» კიდევ დაავგირგვინა, გასულ ნოემბერს საბჭოთა ყრილობამ დაადასტურა ახალი კონსტიტუცია და მომავალ შემოდგომას უნდა აირჩიონ კავშირის უზენაესი საბჭო და მისი პრეზიდიუმში, რომლის მეთაურად დიდის ზეიმით, რა თქმა უნდა, თვითონ სტალინი იქნება არჩეული. ყველამ იცის, რა განუხანძრველი უფლებით აღჭურავს კონსტიტუცია პრეზიდიუმს, ე. ი. პრეზიდენტს და მით

უკანასკნელი მთელი შეიარაღებულ ძალთა განუკითხავი მბრძანებელი ხდება. აი, რა გეგმის დაშლა მოიწადინეს ტუხაჩევსკიმ და შვიდმა სხვამ, განა ამ თავხედობას აპატიებდა სტალინი მათ!

მაგრამ სამზადისი მარტო ამით არ განისაზღვრება. სტალინი რკინის ცოცხით სწმენდს სახელწიფო, პარტიულ, სინდიკალურ, კოლპერატრიულ ორგანიზაციებს. ვინ მოსთვლის, რამდენი ასი და ათასი ძველი ბოლშევიკი მოსპეს მისმა დამქაშებმა, რამდენი ათი-ათასი სხვა გადაასახლეს სოლოვეკებში, რამდენი ზის საკატორლო ცენტრალებში ან ჩეკის ჯურღმულებში, და დიდი პროცესებიც ზომ დენინის «ძველი გვარდიის» ამოწყვეტით დაიწყო. რად ექვივრება ეს მასიური ტერორი დიქტატორს? იმად, რომ ძველ და ახალ რევოლუციონერებს მუსრი გაავლოს, სამოქალაქო ომში გაბოლშევიკებული თავობა მოსპოს და მათ ადგილზედ მისი ყურმობურილი მოხელენი დასვას. თუ თვითონ დიქტატორია, მას ექვივრება დიდი და მრავალ-შტოიანი ბიუროკრატია, აპარატი, მანქანა და ეს «მშენებლობა» უკვე დასრულებულიცაა.

ევროპაში კარგად ამჩნევდენ ამ პროცესს, ბოლშევიკების ხოცვა-ჟლეტას ტაშისაკი უკრავდენ—სტალინი რევოლუციას ბოლოს უღებსო—და მით ზოგიერთნი სახელმწიფონი სიხარულს ეძლეოდენ ასეთი ძლიერი სამხედრო მოკავშირე გვიჩნდებაო. ამისათვის ისინი იოლად ურიგდებოდენ სტალინის რევოლუციურ ფრანკოლოგიას, ტროცკის რეაქციონერად გამოცხადებას... მაგრამ სარდლების უეცრად დახვრეტამ ძილი დაუფრთხო მათ, თვალები ამოიფშვინტეს და დაინახეს თავის მოკავშირების სრული არარაობა სამხედრო თვალსაზრისით. ამას უთუოდ მოჰყვება სახელმწიფოთა ახალი გადაჯგუფება, გუშინდელი მოკავშირის ზურგის შექცევა, ერთი სიტყვით, ახალი გზების ძებნა, რაიცა დიდ ზიფათს უმზადებს მოსკოვიტებს.

მაგრამ ამ პროცესთან დაკავშირებულთა მეორე პროცესიც, რით გათავდება სტალინის მიერ დაწყებული ტერორი თავისიანებზე? დარჩა კიდევ ვინმე დიქტატორის გარშემო, ვისაც თავი უზრუნველყოფილი ეგულებოდეს? სადაა გარანტია, რომ ყველას იგივე საშინელი ხვედრი არ მოელის? დიქტატორი განმარტოებულია, თვითუელ პიროვნებაში, ვინც მას მიუახლოვდება, მკვლეელი ელანდება, იცვლის მცველებს, დასაძინებელ ოთახებსაც, საკმარისია ერთი წაჩურჩულება ხელზე მსახურისა, რომ მან ჯალათს გადასცეს ვინც გარსარტყია... როდემდე შეუძლია ასე გასტანოს, განა ატმოსფერა, მისგან შექმ-



ნილი, თავის თავად არ ბადებს შეთქმულობის განზრახვას და მის ამსრულებელთ?

ხალხი სდუმს, ინსტინქტიურად შეხარის კიდევც, რომ მტარვალის მუსრს ავლებს სწორედ იმათ. ვინც ამდენი ვაება მიაყენა მას, ვინც მილიონობით ააწიოკა, გაჟლიტა მისი შვილები. კრემლის სისხლიანი კრიზისი მთელი სახელმწიფოს კრიზისია, კავშირის დამშლელი, ერთა განთავისუფლების ცისკარი.

უაღრესად საგულისხმეოა ამ მხრივ ამ ნომერში გამოქვეყნებული წერილი საქართველოდან. იქიდან დანახავს მკითხველი, რა ზომამდე მიუღწევია ზიზღსა და მტრობას რუსის ხელისუფლებისადმი ხალხში, როგორ იქნინება იგი ეროვნული გრძობით მთელს კავკასიაში, როგორის გულის ფანცქალით მოელის გადამწყვეტ ამბებს შინ და გარედან. ნუ დაივიწყებთ, რომ წერილი გამოგზავნილია კრემლში დაწყებულ კრიზისის გაცილებით ადრე! ბერია, სტალინის ნაცვალი, და მისი დამქაზნი პირწავარდნილ ყაჩაღთა ბრბოს წარმოადგენენ. ნამდვილი ბოლშევიკები, საქართველოს გუშინდელი გამ-

ყიდველნი, საეჭვო პირებად გამხდარან მათ თვალში, სდევნიან, აპატიმრებენ, ასახლებენ... მუშა, გლეხი, ინტელიგენცია, გარდა ერთი მუქა ლაქიებისა, ვინც ბერიას ნახუფრალით იკვებება, ერთ მრისხანე ძალად ქცეულა და ელის სულგანაბული «ზარის ჩამოკვრას».

ხელისუფლება გრძობს თავის დასასრულის მოახლოებას და ცდილობს, სხვათა შორის, კავკასიის ერთა შორის შურისა და უნდობლობის დათესვას, ერთმანეთზე სასიკვდილოდ გადაკიდებას და მით ყველასი ერთად დაუძლურებას. ამაო ცდაა, ეს ხერხი ვერ გასჭრის, კავკასიის ერნი და მათი ხელმძღვანელნი შესძლებენ ცარიზმის ამ დაყანგულ იარაღს სხვა უფრო მკვეთრი იარაღი დაუპირდაპირონ: 17 წლის გმირულ ბრძოლებში გაკაყებულნი ნებისყოფა და შეგნება საერთო ინტერესებისა და სოლიდარობის.

კავკასიის ერთა სადღეისო ლოზუნგია: თვითულის დამოუკიდებლობა და მისი დაცვა ყველას მიერ ერთ მძლავრ კონფედერატულ კავშირში.

**წ ე რ ი ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ღ ა ნ**

ძნელია, ადამიანმა სავესებით წარმოიდგინოს ის, რაც აქ ხდება. ამიტომ შევეცდები, მოკლედ გადმოგცეთ ზოგიერთი რამ ჩვენი განაწამებ ცხოვრებიდან, რომ თქვენთვის ოდნავ მაინც ნათელი იქნეს. თუ სანამდე მივიდა როგორც ხელისუფლების დაცემა და გათახსირება, ისე ხალხის აუტანელი მდგომარეობა.

**1. მართვა-გამგეობა.**

საქართველოში მართვა-გამგეობა ჩაგდებული აქვს ახალგაზდა კომუნისტების ჯგუფს ბერიას მეთაურობით; ეს პირები გამოსულნი არიან ჩეკის და გეპეუს თანამშრომლებიდან; გაუნათლებელნი და უკულტურონი, სინდისს და პატიოსნებას მოკლებულნი; მართავენ მუშებით, სიცრუით და სხვადასხვა ყადის ბლეფებით. არ ითმენენ თავის წრეში სერიოზულ და განათლებულ კომუნისტებსაც კი—არც ძველებს და არც ახალგაზდებს. ხალხს ისინი სძულს და მოკლებული არიან ყოველგვარ ავტორიტეტს. უკანასკნელ ხანებში ცდილობენ, გამოიყენონ სტალინის სახელი და მისი ქართველობა: იჩენენ დიდ «ნაციონალისტობას», როგორც რუსების, ისე სომხების წინამდევ, რომ ამით ხალხის გული მოიგონ. მაგრამ ამაოდ,—მათი არავის სჯერა; მათი «ნაციონალისტობის» ფასი და მიზანი ყველასთვის დღითი-

დღე აშკარა ხდება. დარჩათ მარტო ტერორის გზა და ამას, უნდა ითქვას, ჩინებულად ასრულებენ—არავის ინდობენ და ყველა, ვინც კი სიცოცხლის და ენერჯის ნიშანწყალს ატარებს, ბერიას ბანდის მუქარას ქვეშ ცხოვრობს. მოკლედ, საქართველოს დღევანდელი მართვა-გამგეობა პირწავარდნილი პოლიციური თარეშია დამსჯელი რაზმებით, ციხეებით და სისხლიანი რეპრესიებით მოკაზმული.

**2. მოხვევის პოლიტიკა და ქართველი ხალხის ხელისკვეთება.**

საერთოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისათვის განაპირა ქვეყნებს, როგორც მცხოვრებთა რიცხვით, ისე სტრატეგიულად და ეკონომიურად. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ამიერ-კავკასიას მისი ნავით, მარგანეცით და მცირე აზიისაკენ სავალი გზებით. ამიტომ გასაგებია მოსკოვის სიფრთხილე განაპირა ქვეყნებისადმი და ბერიას «ნაციონალიზმი». მაგრამ ეს ხალხები ეროვნულად გაიზარდნ და მათ შორის ქართველებს, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, პირველი ადგილი უჭირავთ. ეს მოსკოვს აშინებს და მან გადასწყვიტა ზოგიერთ დათმობებზე წასვლა კულტურის და ენის სფეროში, თუმცა ამან საწინა-

ამდგომარეობაში უმეტესი ძველი ოცნებებით ცხოვრობს. მათ ითმენენ კომუნისტები. ბევრი მათგანი შეეგუა ახალ წესწყობილებას; მოეწყვენ ადგილებზე და ნათესავებს ეხმარებიან. მათი რიგებიდან გამოვიდნენ გამოჩენილი ჩეკისტებიც კი, როგორც ბაგრატიონი, ესლა «სოუტრანის» თავმჯდომარე.

დ) ინტელიგენცია. საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში არის მათ შორის მცირედი ჯგუფი რუსოფილებისა, რომელნიც მთელ თავის დემოკრატიას სტალინის ქართველობაზე ამყარებენ.

ე) კომუნისტები. მათ შორისაც, ვინც განათლებული, კულტურული, დარბაისელი და სინდისიერია—პატრიოტულად არის განწყობილი. მხოლოდ ბერიას ჯგუფია თავდადებული ბოლშევიზმის და სტალინისათვის, რიცხვით მცირედი, მაგრამ ხიშტის და მოსკოვის მუშტის მქონე, უკანასკნელ ხანებში ამ ჯგუფის სტალინისადმი ლაქუცობა კომუნისტურ მასაზედაც შთაბეჭდილებას ვერ ახდენს.

სდება ქართველი ხალხის გამთლიანება; ხელისუფლების ცდა—რომ მასში ჩაენერგა ვითომცდა სხვადასხვა ტომებად დაყოფა (აქარელი, აფხაზი, მეგრელი, ქართლელი, იმერელი და სხვა)—სასტიკად დამარცხდა და ესლა იგიც მხარს უჭერს ერის გამთლიანებას. ეს გარემოება უადვილებს ერს ერთიანი ლაპარაკს, კულტურულ და სულიერ გამართლებას. მიუხედავად მზგავსი დამოკიდებებისა ხალხი ეხლანდელ ხელისუფლებას მინც არ უჯერებს და უნდობლად უყურებს. სხვა ელემენტები კი საზოგადო ასპარეზზე არ სჩანან. მიმალულნი არიან და ხალხთან მხოლოდ საიდუმლო ძაფებით არიან დაკავშირებულნი. ხელისუფლებასაც ეს ელემენტები ჰყავს ნიშანში ამოღებული (განსაკუთრებით მენშევიკები)... გარეგნულად ხალხს რჩება ერთი იმედი: რუსეთი გარეშე ომში დამარცხდება და მაშინ იგი თავის სამშობლოს დაეპატრონება.

განვიხილოთ მოკლედ მცხოვრებთა ცალკე ფენების მდგომარეობა:

ა) გლეხობა (ამათ რიცხვში უნდა ჩაითვალოს ყოფილი წვრილი თავად-აზნაურობაც). საზოგადოდ სოფლებში დარჩა ძველი ტრადიციები: ზნე ჩვეულებანი, ნათესაური კავშირები, დღესასწაულები და სხვა; ამავე სულიკვებით იქვინთება სოფლის ახალგაზდობაც. გლეხის ეკონომიური გაკვირება წარმოუდგენელია, ეს არის მთავარი მიზეზი, რომ მას სძულს ხელისუფლება და სტალინი. რუსი მას წინადაც არ უყვარდა. მასში ძლიერია პატრიოტიზმი და წესწყობილების სიძულვილი.

ბ) მუშები და წვრილი ინტელიგენცია. სულისკვეთება აქაც ისეთია, როგორც გლეხობაში. თვიური ჯამაგირი (90-300 მან.), რასაკვირველია, სიძვირის გამო მას ვერ აკმაყოფილებს. გამოჩენილი შეადგენენ «სტახანოველები» და წარჩინებული ჯგუფები ინტელიგენციის; მაგრამ მათი რიცხვი ფრიად მცირედი და იგინი მასას სძულს.

ვ) კოფილი მდიდარი თავად-აზნაურობა. ამათი მხოლოდ ნაწყვეტებია დარჩენილი. ამთგან უმეტესი ძველი ოცნებებით ცხოვრობს. მათ ითმენენ კომუნისტები. ბევრი მათგანი შეეგუა ახალ წესწყობილებას; მოეწყვენ ადგილებზე და ნათესავებს ეხმარებიან. მათი რიგებიდან გამოვიდნენ გამოჩენილი ჩეკისტებიც კი, როგორც ბაგრატიონი, ესლა «სოუტრანის» თავმჯდომარე.

დ) ინტელიგენცია. საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში არის მათ შორის მცირედი ჯგუფი რუსოფილებისა, რომელნიც მთელ თავის დემოკრატიას სტალინის ქართველობაზე ამყარებენ.

ე) კომუნისტები. მათ შორისაც, ვინც განათლებული, კულტურული, დარბაისელი და სინდისიერია—პატრიოტულად არის განწყობილი. მხოლოდ ბერიას ჯგუფია თავდადებული ბოლშევიზმის და სტალინისათვის, რიცხვით მცირედი, მაგრამ ხიშტის და მოსკოვის მუშტის მქონე, უკანასკნელ ხანებში ამ ჯგუფის სტალინისადმი ლაქუცობა კომუნისტურ მასაზედაც შთაბეჭდილებას ვერ ახდენს.

3. ახალგაზდობა და სოფლები საქართველოში.

მართალია, სოფლების და წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი ბოლშევიკების დროს გაიზარდა საქართველოში, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბოლშევიკების პრესის კვენხა ამ საკითხში, როგორც სხვა ყველა სფეროში, სიმართლიდან ძალიან შორს არის და უფრო ბლედს წაგავს, ვინემ სინამდვილეს. სხვათა შორის იგივე პრესა ადასტურებს მასწავლებლების მოუშნადებლობას და ფორმალისტობას. და ეს სრულიადაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ამდენი მასწავლებლების სათანადო მომზადება მართლაც ძნელი იყო და მეორეის, რომ მასწავლებელმა, რომ თავი იჩინოს,—სამი-ოთხი თანამდებობა უნდა დაიკავოს, ვინაიდან დღევანდელი მათი ჯამაგირი, შედარებით სიძვირესთან, გროშებს უდრის.

თუ სოფლებში ბავშვებზე დიდი გავლენა აქვს ოჯახს, ქალაქებში ეს ასე არ არის. ამიტომ მოწაფეები ქალაქად მორალურად ძლიერ დაბალ საფეხურზე დგანან: ქურობა, სიცრუე, ერთიმეორის და მასწავლებლების მკვლელობა, გარყვნილება—ნორმალურ მოვლენად გამხდარა სკოლებში. რასაკვირველია ყველაფერი ეს იმალედა; პრესაში ამაზე წერა აკრძალულია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ახალგაზდობის გავლულება, ეგოიზმი და კარიერიზმი.

პრესის ტრებახი 90 პროც. წერა-კითხვის მცოდნეზე—სრული ზღაპარია. ეს მით უფრო ითქმის საქართველოს სოფლებზე, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. პოლიტიკა და პარტიობა ახალგაზდობას ისე ალარ აინტერესებს. კომსომოლებში აღარ მიისწრაფვიან, ვინაიდან, უკანასკნელ ხანებში, კომსომოლობა აღარ ძლევს მოწაფეებს ისეთ უპირატესობას, როგორც წინედ.



ქართული უნივერსიტეტი მეცნიერულად ძლიერ მალა დგას. იგი მთელ რუსეთში მესამეა (მოსკოვის და ლენინგრადის შემდეგ). სტუდენტების მდგომარეობა მატერიალურის მხრივ ძლიერ ცუდია. მართალია ბევრს ეძლევა სტიპენდია, მაგრამ მხოლოდ 60 მან. თვიურად. სტუდენტთა საზოგადო ბინები წარმოადგენენ ანტიპიციენტურობის და უკულტურობის მაგალითს.

ფიზკულტურა ძლიერ დაბალ ნიადაგზეა დაყენებული. უკანასკნელ დიდი ზეიმის დროს გამოიყვანეს 25.000, მაგრამ აქედან 5.000 თუ იყო ნამდვილი ფიზკულტურელი, დანარჩენი საზოგადოდ ახალგაზრდა იყო ამ დღისთვის გადაცმული.

ახალგაზრდობაში ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი ასულია უმაღლეს დონეზე. ამას ხელს უწყობს უკანასკნელ ხანებში ქართული ენის პოპულარიზაცია, და ნაწილობრივ, შესაძლებელია, სტალინის ვითომდა ქართველობის პროპაგანდა; მაგრამ ანტირუსული და ანტი-ბოლშევიკური სულისკვეთება დღითი დღე იზრდება.

შეიძლება უპარტიო ახალგაზრდობა დავეთ შედგე ჯგუფებად:

- ა) ოპორტუნისტები, მაგრამ ჩუმი პატრიოტები.
- ბ) ნაციონალური-შოვინისტები, გ) ბოლშევიზმის მადიდებელი, მცირე ჯგუფი, პირადი ინტერესების მოტრფიალენი და დ) მემარცხენე «უკლონისტები», მცირე რიცხვანი.

ახალგაზრდობაც ისე, როგორც მოზრდილი თაობა, რაღაცის ელის, ვილაცა გაგვანთავისუფლებს.

შესაძლებელია დაახლოებით, მაგრამ მცირე მასშტაბში, იგივე ვთქვათ სომხეთის და აზერბაიჯანის ახალგაზრდობაზე.

4. გვერდობაში მდგომარეობა ქალაქად და სოფლად.

ამ დარგში თქვენ უკვე იცით ჩვენი აქაული მდგომარეობა. აქ მხოლოდ აღვნიშნავ ზოგიერთ უკანასკნელ ფაქტებს, რომელიც უფრო მკაფიოდ ხატავს ხალხის საერთო გაჭირვებას.

ქალაქის მუშა და მასიური ინტელიგენცია, გარდა პარტიული ელიტისა და ინტელიგენციის წარჩინებული ჯგუფებისა, იძულებულია იცხოვროს 90—300 მან. ჯამაგირით თვეში. ეს მაშინ, როდესაც ჯარის კაცის ძველი მანარა ღირს 200—250 მანეთი. წულა ძველი რეზინის ძირით 20—25 მან.; ჩითის კაბა 40—45 მან., მეტრი, მიტკალი 10—15 მან., ფუთი სიმინდი 16—20 მან. და სხვა. წარმოუდგენელ სიძვირეს უნდა დაუმატოთ, რომ საქონელი საზოგადოდ არ იშოვება ქალაქებში და ცი. სოფელზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

«კოლხეზები» გლეხისთვის პირდაპირ უბედურებას წარმოადგენენ; 250—300 მუშა დღე წლიურად ოჯახზე (და არა 1.000-ზე მეტი, როგორც ბოლშევიკები ტრამბანებენ)—მაქსიმუმია. თითო მუშა დღეში კი გლეხს ეძლევა 3 კილო ხორბალი. თუ გლეხი თავს ირჩენს, ეს კიდევ კერძო საკუთრებიდან, მაგრამ აქ გადასახადები ახრჩობს ხალხს. მაგალითად ძროხაზე გადასახადია წლიურად 60-100 ლიტრა რძე და 30-50 კილო ხორცი. ქათამზე 50-60 კვერცხი და სხვა. ხშირად გლეხი იძულებულია, ეს ყველაფერი სხვადან იყიდოს და ისე გადაიხადოს. «კოლხეზი» წლიურად ოჯახზე სინამდვილეში იძლევა 500 მან. მაშინ, როდესაც ბოლშევიკები 1,500 მანეთს გაიძახიან და გლეხის ყოფა-ცხოვრებას წარმოატი ფერებით ხატავენ.

5. აქაული რამე-რუმე.

საქართველოში და სომხეთში შეთქმულება და «ტროცკიზმი» დაახლოებით ისე გამოიყურება, როგორც თქვენ უკვე იცით. ეს ორი ფაქტი ერთი მეორეს ვერ ფარავს. მათ უფრო ქართული და სომხური ნაციონალური სული უდის. მთავარი ცენტრები «ტროცკიზმის» აღმოჩენის ბაქოში, თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და სოხუმში. პროცესის შესახებ ჯერ ცნობები არ არის და არც არავინ იცის დანამდვილებით, როდის შესდგება, ან სულ შესდგება თუ არა. ბუდუ მდივანს, როგორც გამომგვამენ, ნაწილობრივი დამბლა დაცემია. კ. მოდებაცეს აბრალებენ ნ. ყორდანიასთან კავშირს.

მოსკოვის რწმუნებულად თბილისში შემოდგომიდან დაინიშნა ვინმე სტარკი, მის თანაშემწედ მელიხაივი და მდივანდ კისელი. წინად თანაშემწედ იყო კვიტაშვილი. ამჟამად სტარკსა და საქართველოს მთავრობას შორის დიდი უთანხმოებანია. ქართველ საზოგადოებაში ბ. სტარკი ბოიკოტის ქვეშ არის დაყენებული. შვიდი ნომბრის დღეობაზე მასთან ბანკეტზე ქართველებიდან მხოლოდ მახარაძე და მგალობლიშვილი იყვენ. იმავე დღეს ალუმზე, რომელიც მახარაძეს უნდა მიეღო, უკანასკნელმა დაიგვიანა, სტარკმა მას არ დაუცადა და ალუმში თითონ მიიღო.

სტახონოვლოზა საზოგადოდ, და კერძოდ საქართველოში, იწვევს დიდ უკმაყოფილებას, სტახონოვზინის მეფებით შარშან ზაფხულში დებრენტთან და სექტემბერში გორსა და თბილისს შუა მოხდა ორი დიდი კატასტროფა რკინის გზაზე. ლიანდაგი ყოველგან გაფუჭებულია, თორმეტი წელიწადია მას შეკეთება არ ღირსებია. მიუხედავად ამ მხრივ გაფრთხილებისა, აღნიშნული მატარებლები რუს სტახონოვლებმა დაამტვრიეს. გორსა და თბილისს შუა ხუთასზე მეტი მსხვერპლი შეიწირეს. ხოლო სასამართლომ ოთხი ქართველი, უბრალო მუშები, დასაჯა. ამან რკინის გზის მუშებში და საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

აი მოკლედ ჩვენი აქაული ვითარება.

გენლ.

ნ ა ვ ს ი ვ ა ტ უ ლ ა

(ბოლშევიკების წინამძღვე)

II. «დამნაშავე ვარ».

თუ ასეთი სასტიკია არა ფორმით,—ფორმა მეტად თავნახიანია,—არამედ შინაარსით საბჭოების გუშინდელ მეგობრის ბ. ყიდის კრიტიკა საბჭოთა კავშირის ცხოვრებისა, ჩვენ სიტყვა ვერ გვიბოვნია მის მეორე მეგობრის ლ. ფ. სელინის განკიცხვის დასასწავლებლად.

მისი წერილი «Mea culpa» («დამნაშავე ვარ»),—ასეთია მისი სათაური,—ნამდვილი ყვირილიაო, სთქვა ვიღაც, და მართლაც რაღაც ქვეყნის გასაგონად მძლავრად ამოძახილი სინანულია, შევცდი, ჩემია ბრალიაო.

თვით ფორმა, სიტყვები,—ავტორი ფართოდ ხმარობს არგოს,—ენა სრულებით არაჩვეულებრივია.

სელინიც ჯერ წმინდა ბოლშევიკურ პანგზე იწყებს.

«კომუნისმში ჩვენ გვზიბლავს ის, რომ ადამიანს ნიღაბი უნდა ახადოს ბოლოს!.. მთელი საუკუნოებია, რომ სასაცილოდ ვყვართ აგდებული... შეუძლებელია ამ ქვის გაწომა; რამდენი სიცრუე შესძლებია!..»

«უძლიერების მიერ ექსპლუატაცია». ჭეშმარიტება.

«მეც შენსავით, ისიც, ჩვენ ყველანი დაჩაგრულები ვართ!» უნდა გათავდეს ეს მოტყუილება! ძირს საშინელება! დაამსგვრიე შენი ჯაჭვები, ხალხო! გაიმართე წელში, გოგია!.. შეუძლებელია მუდამ ასე გაგრძელები. დაგინახონ ბოლოს! შენი კეთილი სახე!.. მივიხვდნენ, რაც პოეზიაა შენში, რათა შეგიყვარონ!.. რაც უფრო ჩქარა იქნება, მით უკეთესი... გაწყდნენ პატრონები! ჩქარა! ეგ დამპალი გამოუსადეგრობა. ერთად ან ცალკეცალკე! ოღონდ ჩქარა, ერთბაშად!.. სახორცეში ეგ ტურები! ბოგირ ქვეშ! რად უნდა ვიგვიანოთ? მათ კი უთქვამთ უარი როდისმე შესაწირავენ მეფე-მოგებისათვის!.. მათი სულთა ბრძოლა? თაფლია!.. მთელი ჯიში უნდა გაწყდეს. ბიბლიურ დროიდან დაწყებული უარესი რისხვა არ დაგვტყდომია თავს, უფრო ურცხვი, უფრო გამათახსირებელი, როგორც ბურჟუაზული ბატონობა, ტირანული კლასი, ხარბი, მტაცებელი, გაუმადარი! რაც უფრო მდიდარი, მით უფრო ცალიერია. სიღამსლე, რაღა!

გაუმარჯოს პეტრე პირველს, ლუი მე-XIV, ფუკეს, ჩინგიზ ყანს, ყველას, მაგრამ ლანდრიუსთვის არ არის პატიება. ყველა ბურჟუები ლანდრიუები არიან...

დიდი წმინდა? თვეების საკითხია, დღეების!.. გავიხაროთ! მთელის კლასის გაწყვეტა! იგივეა რაც ღია კარის შემტვრევა, მერე რა დამპალის! პრივილეგიების მქონეთ დახვრეტა, რა არის ამაზე ადვილი...

აჰა, ერთი კეთილი საქმე შესრულებული!.. აჰა, პროლო თავისუფალი! ყველაფერი მას... ლამაზი ქარხანა, მალაროები. ხაჰაპური! ბანკი!.. ბანკი!.. მი-

დი! ვენახებიც და კატორღაც! აჰა, მარტონი დავრჩით... შემალაროე! მალარო შენია! ჩადი! აწ აღარ გაიფიცები! დღეში 15 ფრანკი თუ იშოვე მხოლოდ, ის 15 ფრანკი შენია».

არ ვიცი, შენ რასა გრძნობ, მკითხველო, და მე, რომელსაც არავინ გამიტყავებია, არა მქონია რა, ცივმა ოფლმა დამასხა: ასე იოლად, ასე ერთის მოქნევით არც ბოლშევიკებს მოუგდიათ თავი ბურჟუაზიისათვის... მაგრამ მოუსმინოთ ამ უკიდურეს რევოლუციონერს, თუ საბოლოო არის მისი ასეთი განწყობილება.

«ესლავე უნდა გამოვტყედოთ, იწყება ერთმანერთის ლანძღვა. ცოტა არ იყოს ყარს კიდევც ლაქია. ყბედობაც რომ უყვარს ამ სასოგადოების საძირკველს... ეგ საპატიებელია, მოგვარდება! მაგრამ ორმოცდაათის საუკუნის მონობის რომ ყველა დაბალი ინსტინქტიცაა დაგროვილი... თავისუფლებაში ისინი უწინდელზე უკეთ მოიქარაიან ზემოდ ამსატიგეტივებლად! სიფრთხილე! სიფრთხილე!.. ისტორიის დიდი მსხვერპლი ჯერ კიდევ არ იშინავს ანგელოზს. ის კი არა, საანგელოზო ნატამალიც არ არის მასში. ასეთი ცრუ აზრი კი გამეფებულია, რკინასავით უდრეკი. «ადამიანი ის არის, რასაც სჭამს», აღმოაჩინა ენგელსმა. უდიდესი ტყუილი. ადამიანი სხვა რამაც არის, ბევრად უფრო მღვრიე ვიდრე «შეხანხლის» საკითხი. მარტო წელებს კი არ უნდა გხედავდეთ მასში, მისი პატარა ლამაზი ტვინიც უნდა დაგინახოთ!.. რათა ადამიანი გამოიცვალოს, საჭიროა მისი წრთენა! გაიწრთენება კი?.. სისტემა რამ ვერ გაწრთენის! ის თითქმის ყოველთვის მოახერხებს თავიდან აიცილოს ყოველნაირი კონტროლი... თავის მოკატუნება? ო, რა დახელოვნებულია!.. მორალზე ლაპარაკი არავითარ მოვალეობას არ ქმნის. მქადაგებელი ყველა ნეხვია! რაც უფრო ბილწია, იმდენ მეტს ლაპარაკობს! და ამასთან რა ლაქუცი!.. კომუნისმის პროგრამა? მიუხედავად უარყოფისა, სავსებით მატერიალისტური! მოთხოვნანი. ერთის პირუტყვისა დანარჩენ პირუტყვთა სასარგებლოდ! ჭამა-შთანთქმა! შეხედეთ განიგებულ მარქსის ცხვირპირს, მსუქანს! კარგი კიდევ, რომ სჭამდენ, მაგრამ სწორედ წინამძღვეი ხდება! ხალხი მეფეა!.. არ მეფე მეფე! ყველაფერი აქვს პერანგი აქლია!..»

ზემოდ ჩვენა ვსთქვით, ვნახოთ თუ საბოლოოა ბ. სელინის უკიდურესი სარევოლუციო განწყობილება-თქო. ქვეყნის გადატრიალების სურვილი, შესაძლებელია, საბოლოოდ შერჩენოდა, რომ ისეთისვე საშინელების სურათი, თუ მეტის არა, არ გამოხატვოდა თვალწინ.

ბ. სელინი ევროპიელია და კარგად იცნობს ევროპულ ქვეყნების ცხოვრებას. ზემოდ ჩვენ ვნახეთ, თუ რა გრძნობებს აღძრავს მასში ბურჟუაზიულ წყობილებაში წარმოშობილი უსამართლობა და ჩაგვრა. ის მზად არის ყველაფერი ყირაზე დააყენოს, ერთის დაკვრით გააცამტვეროს ყოველივე უსამართლობა, ერთის მოქნევით წაათალოს თავი იმას, ვინც ამ უსამართლობას გამოხატავს.

სელინი მიეშურება იმ ქვეყანაში, სადაც ასეთი



თითქმის მსოფლიო მასშტაბის ოპერაცია უკვე მო-  
უხდენიათ, და... მის თვალწინ დადგა უარესის.—უა-  
რესის?—მხეცურ, ზოლოდოვან ვითარების სურა-  
თი. შემოდ მოყვანილი მსჯელობა ანტიციპაცია იმ  
გრძნობებისა და აზრებისა, რომელიც გამოუწვევია  
მასში რუსეთთან გაცნობას.

აქ საჭირო იქნებოდა წერილის ამ ნაწილის მთ-  
ლიანი თარგმანი, მით უმეტეს, რომ მისი ახირებუ-  
ლი და დიდად მხატვრული ენა მთლიან შთაბეჭდი-  
ლებას ქმნის; საუბედუროდ ადგილის უქონლობა  
ამის ნებას არ გვაძლევს. ამოვიღებთ ზოგიერთ ად-  
გილებს.

«მე რუსეთზე ვლაპარაკობ. ლენინგრადაში, ტუ-  
რისტების გარეშე,»

უკიდურესი ინდივიდუალიზმი მეფობს, ძირს  
უთხრის ყველაფერს, რყვის ყველაფერს. ბრაზმო-  
რეული, ნაღველსავით მწარე, ბუზღუნა, უძლეველი  
ეგოიზმი ყოვანს, უჯდება და უკვე ყრყვნის ამ სა-  
შინელ სიდატაკეს, გამოჟინავს და უფრო მყარად  
ხდის.

«მატერიალისტური კომუნიზმი უპირველესად  
ყოველსა არის მატერია, და როდესაც მატერიას  
მიადგება საქმე, უკეთესი არასდროს იმარჯვებს,  
იმარჯვებს ცინიკი, გაიძვერა, მხეცი. უყურეთ იმ  
რუსეთს, რამაღე გამოიპრანჭა იქ ფული! რა უცბად  
დაიბრუნა მთელი თავისი სიმტარვალე! ერთის მა-  
გიერ სამკეცი. პირმოთნებით ხალხს ყველაფერს  
მიადებინებთ, ყველაფერს გადაყლაპავს...»

ადამიანის მატერიალად ჩამოქვეითება ესაა ახა-  
ლი, ფარული, უღმობელი კანონი... ყველაფერი,  
რაც ქებით დამთვრალ მასისათვის გზის დაბნევას  
შველის, კეთილია. როდესაც ეშმაკობა აღარ კმარა,  
როდესაც სისტემა ირღვევა, მაშინ მათრახი. მიტ-  
რაიენა... დრო რა დადგება, არსენალის მთელს  
იარაღს გამოიტანენ და მათ უკიდურესს რეზოლუ-  
ციების ოპტიმიზმს თან მიაცოლებენ. უამრავს ყლე-  
ტას, ყველა ომს ოპტიმიზმის მუსიკა თან ახლდა...  
ყველა მკვლელს მომავალი ვარდისფრად ელანდება.  
ხელობის თვისებაა. ამინ.

«ხალხა, თავს დაიხედე! შენ ხარ უმადლესობა!  
განთავისუფლებული, როგორც არავინ სხვა. შენ  
უფრო თავისუფალი ხარ, ვიდრე ის ყმები, გადაღმა!  
ჩაიხედე კიდე სარკეში! ხალხა, სისტემის მსხვერპ-  
ლი ხარ! დაიცა შეეცვალო შენთვის ქვეყნიერობა!..  
ნამდვილი ბედნიერება მსურს შენთვის! გინდა, მე-  
ფედ გაგხადო? პაპად, ღმერთად! ყველა ერთად! ას-  
რულდა! სურათი გადიდე.»

იქ, ფინლანდიიდან ბაქომდე ეს სასწაული სი-  
ნამდვილეა. პო, მაგრამ პროლო დასაწყისა გარეშე-  
მო სიცალიერემ, ჯერ ვერ შეჩვევია. ცა მეტის მეტი  
დიდია მართა მისთვის! საჭიროა, საჩქაროდ აღმო-  
აჩინონ მეოთხე საზომი, ნამდვილი! ძმურ გრძნობის  
საზომი...

კომუნიზმი—ყველა არსებულ გაჭირვებათა გა-  
ზიარებაა. გაზიარება ბევრად უფრო მეტის გაჭირ-  
ვების, ვიდრე სიხარულის... და მუდამ უფრო მეტის  
და მეტის... გული არ ურიგდება. ძნელია მისი და-  
ყოლება.. იმალება.. ცდილობს თავის მართლებას.

ავტომატურად დგება ხრიანცილი! უკომუნისტო  
კომუნისტური სისტემა! მაგრამ გარედგან არა უნდა  
სჩანდეს რა! ვინც კრინტს დასძრავს, სახრჩობე-  
ლანდე.

გაუმარჯოს მამ უშინაარსო სიტყვების რახა-  
რუხს. აბა, გვიშველით, მოგონილო უბედურებანო!  
ფანტასტურნო მტერნო! კოალიციებო და შეთქმუ-  
ლებანო! გაიმართოს აპოკალიპსური პროცესები!  
საჭიროა, აღმოჩენილ იქმნას სატანა. მიჩქმალულ  
უნდა იქმნას ის საშინელი ჭეშმარიტება, რომ «ახა-  
ლი კაცები» არაფრად ვარგან! რომ ისეთივე ნებსები  
არაინ, როგორც უწინ!

«აქ ჩვენ ვერთობთ კიდე. ჯერჯერობით კიდე  
«ჩაგრულები» ვართ. შეგვიძლია ყველა უბედურება  
სისხლის მსმელებს დავაბრალოთ! ექსპლუატა-  
ტორს... მსხვერვის უფლება თუ აღარა გაქვს, სი-  
ცოცხლე აუტანელი ხდება...»

ქოლ რენარი სწერდა კიდეც: «არ კმარა ბედნი-  
ერი იყო, საჭიროა, რომ სხვები არ იყვნენ ბედნი-  
ერნი». ო, რა ცუდი წამია, როდესაც იძულებული  
ხარ მთელი ტვირთი შენ მოიგდო, სხვისი, უცნობე-  
ბის, ანონიმების.—პროლოს ფეიციებოდნენ, რომ  
სწორედ ეს სხვები იყვნენ მის უბედურებათა ნაღვე-  
ლი! აი, სიცრუე. სხვებს რომ ვეღარ პოულობს.

მიუხედავად ამისა მაგრად არის ჩაკეტილი. გა-  
ნახლებულ საზოგადოების ეს რჩეული წევრი... პე-  
ტრეპავლეს ციხეშიაც არ ყოფილან ისე სასტიკად  
გამომწყვდეულნი ყოფილი რევოლუციონერები.  
ფიქრი მაინც შეეძლოთ რისაც სურდათ. რა თქმა  
უნდა, წერის საკითხი არც კი არსებობს. ისეა და-  
ცული გარეშე უწმინდურთაგან ასი ათას ეკლიან მა-  
ცთულის საშუალებით «პროლოვიჩი», როგორც  
არავინ. «პროლოვიჩია» რომ ინახავს პოლიციას  
ურიცხვს, როგორც არსად, უეჭვიანესს, უმყარ-  
ლესს, უსასტიკესს ამ პლანეტაზე, თვითონ არაფრის  
მქონე. ო, მას არ სტოვებენ მართლს. სიფხიზლე მე-  
ტი აღარ შეიძლება. «პროლოვიჩს ვერავინ მოიტა-  
ცებს!.. მაგრამ მაინც რომ მოწყენილია! ერთი აქე-  
დგან გავიდე და მერე, თუ გინდ, მოვკვდე! ერთი ექს-  
ტურისტად მაქცია! რა შვილი ვარ, დავბრუნდე...  
ასეთის ნიშნის მიგება შეიძლებოდა საბჭოების ხე-  
ლისუფლებისათვის, მაგრამ მას ამის შიში არ აქვს:  
ვინ ვაბედავს? ცოცხალი ვერავინ გადარჩება.

ჩვენსა «პროლოვიჩი» გართობის შესაძლებლ ო-  
ბას იზოვიდა... ჩვენში უდაჩაგრულესს აქვს თავისი  
გასართობი... როგორ უყვარს ხანდახან სმოკინგით  
გამოსვლა, სულ ახალით (დაქორავებულია!); მდი-  
დარის მიბაძვა! სინემით დატკბობა. ბურჟუაზია  
ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი! მაიმუნია!..

იქ ადამიანი კიტრით იკვებება. ამუშავებენ,  
როგორც ყაზარმანი, სამუდამო ყაზარმანი. ქუჩაში-  
აც დიდხანს ვერ დარჩება, თორემ... როგორ მიერე-  
დებიან კონდახებით!.. მომავლის იმედილა შერჩე-  
ნია: «ხვალ უფასო გაპარსვა»...

რად არის, რომ ინყენერი 7000 მან. იგებს თვეში?  
მე ვამბობ იქ, რუსეთში. მოახლე დედაკაცი კი—50?  
ყველა ნებსია, იქაც, როგორც აქ! რად არის, რომ  
წყვილი ფენსაცმელი უკვე 900 ფრ. ღირს და ძველის

დაკრება, ისიც უვარგისი, 80?.. და საავადმყოფოები?.. კრემლის საავადმყოფოსა და «ინტურიზმის» სალონებს გარდა ყველა დანარჩენი პირდაპირ სიმყრალეს წარმოადგენს, ნორმალურ ბიუჯეტის ერთის მეთედით გამოდიან! მთელი რუსეთი სცხოვრობს ნორმალურ ბიუჯეტის ერთის მეთედით, გარდა პოლიციისა, პროპაგანდისა და ჯარისა...

ადამიანის ადამიანობა იგივეა რაც ქათმის ფრენა: ერთი კარგად მოხვდეს, ავტომობილმა ჩაუქროლოს და ააცეკვოს, სახურავამდე აფრინდება, რომ. ერთწამს უკან ნაგავში ჩამოფრინდეს და ნეხვს დაუწყოს კენკვა. ეს არის მისი ბუნება. ჩვენი საზოგადოებაც სწორედ იგივეა: კატასტროფა რამ უნდა მოხდეს, რომ ნეხვის მსგავსება მოვიშოროთ, და როცა ნელ ნელა ყველაფერი დალაგდება, ბუნებრივი თვისას იწყებს.

«მე, შენ, ის, ყველანი ოხრები, მატყუარები, ნაგვის მჩხრეკელები ვართ», ხომ არადროს არავინ იტყვის ამას. არადროს! ნამდვილი რევოლუციკი ან ანეთი აღსარება უნდა ყოფილიყო.

საბჭოები სიბილწეს მიეცნენ.. ძველი პატრონი შეიცვალა... დიდი აჯანყება! საშინელი ჩხუბი! უჩინარი ნადავლი. მთელი ამბავი ეს იყო მამ! კულინებში ფირმა შეიცვალა. თავში გულწრფელნი იყვნენ... ესლა ყველა მიხვდა! (ვინც ვერ მიხვდა, იმას ხვრეტენ).

პროლეტარი? შინ იყავ! ჩემი გაზეთი იკითხე, ჩემი ტრამბაზი, აი ეს! სხვა არაფერი! კარგად შეიგნე ჩემი სიტყვების ძალა! არ გავდო, ძროხავ, ამას ვაცილიდე! თუ არა და, თავს წაგადგებინებ... ამის მეტი ის ღირსი არ არის, და როდესაც პოლიციელის დასაძახებლად მიდიან, იცის, რაც ელის!.. და ჯერ სადა ხარ! რას არ იზამენ კიდევ, რომ მათი პასუხისმგებლობის აზრიც არავის მოუვიდეს თავში...»

სელინის წერილს განმარტება არ სჭირია. ერთს ვიტყვით მხოლოდ. ადამიანის ადამიანობა იგივეა, რაც ქათმის ფრენა. უბედურება სახურავზე ააფრენს და, უბედურება რომ გაივლის, ისევ ნეხვს და უბრუნდება საკენკვად. მაგრამ, აკი მისისხვე სიტყვით, რუსის ხალხი სანეხვებს გადასცილდა და რაღაც აუტანელ წუმბეში მოჰყვა.

დარბაისკლი.

**კავკასიის მართობა და აზერბაიჯანი**

ბ. რასულ-ზადე ვაზ. «კურტულუმ»-ში წერილს უძღვნის აზერბაიჯანელების 15 წლის მუშაობას უცხოეთში, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კავკასელ ერების ერთობას და აღნიშნავს იმ მოვლენებს, რომელიც ამ ერთობას აფერხებენ.

«აზერბაიჯანი—ამბობს ავტორი: დიდი თურქული რასის ერთი მხარეთაგანია. ეროვნულ დამოუკიდებლობის ბრძოლაში აზერბაიჯანს ძალას აძლევს ეროვნული იდეის სიმართლის რწმენა; ამ რწმენის დაუშრეტელი წყაროა ეროვნული კულტურა, მძლავრი და ერთი თურქის ყველა ერისთვის—დიდი თურქული კულტურა.

დღეს ბოლშევიზმი ემყარება ცარიზმის დროის კულტურულ მემკვიდრეობას. ჩვენი ეროვნული «მეობის» დასაცავად წითელი იმპერიალიზმის დამარღვეველ გამარუსებელ აგრესივობის წინააღმდეგ ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვაძლევთ კულტურულ ღირებულებას, რომელიც გვაერთებს მთელ თურქობასთან და ხანსაკუთრებით თურქეთის რესპუბლიკასთან. ახალი თურქეთის გამორულ-რევოლუციონურ მოქმედებაში ჩვენ ყველაზე უფრო გვიანტერესებს მისი კულტურული მიღწევები, რომლებიც ენება ყველა თურქულ ქვეყანას.

ჩვენი და რუსეთის განხეთქილება არ არის ჩვენი თვის—როგორც ზოგიერთ პოლიტიკოსისთვის—მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის დავა. ვგრედ წოდებულ «რუსულ კულტურას» ჩვენ ვუპირდაპირებით ჩვენს ეროვნულ კულტურას; ამ უკანასკნელს ვაძლიერებთ ევროპისა და გავეროპივლებულ მოძმე თურქეთისაგან მიღებულ მეთოდების საშუალებით და წინ ვუყენებთ რუსულ-კომუნისტურ მორალის გამხრწნელ გავლენას.

მებრძოლნი აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისთვის, ჩვენ ვეყრდნობით ისტორიულად და მთელ საკაცობრიოდ ძვირფას თურქულ კულტურის ზნეობრივ სიმძლავრეს რუსულ იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ამავე დროს არ ვკარგავთ რეალობის გრძობას, რომელიც ძირითადი თვისებაა ეროვნულ-თურქულ ბუნებისა. პოლიტიკური რეალიზმი, რომელიც ემყარება წარსულის სისხლიან და მწარე გამოცდილებას, ჩვენ აუცილებლად გვიკარნახებს, დაუქავშირდეთ კავკასიის კონფედერაციის იდეას. აზერბაიჯანის მდგომარეობა გაერთიანებულ კავკასიაში არაა სრულებით სუსტი, როგორც ზოგიერთი ბეცი ადამიანი ფიქრობს. აზერბაიჯანი ათას ერთი ძაფითაა შეკრული ჩრდილო კავკასიის მოძმე ხალხთან, რომელიც დაინტერესებულია კავკასიის დამოუკიდებლობაში და რუსულ იმპერიალიზმთან ბრძოლაში არა მარტო თავის სახელოვან ისტორიულ ტრადიციებთან, არამედ თავის გეოპოლიტიკურ პირობებთანაც. დიდი შამილის ჰანავატი, იმ შამილის, რომელმაც მთელ კავკასიას სახელი მოუხვეჭა მსოფლიო ისტორიაში, ყოვლის უწინარეს არის მუსულმანურ და თურქულ კავკასიის ღირსების აქტივი.

შემთხვევით მოვლენა როდია, რომ დამარსებელი «მურიდიზმისა», რომელიც ალაფრთხოვანებადა შამილის ბრძოლას დამოუკიდებელი კავკასიისთვის, იყო აზერბაიჯანელი შეიხი; ესაა შედეგი ჩვენი ერების კულტურულ-ისტორიულ ნათესავობის და თვისობის. 1918 წ. მარტის ამბების დროს ბაქოში დაღესტნელები იყვნენ, რომ პირველნი მოეშველნენ თავის ღვიძლ ძმებს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკამ, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული სახელმწიფოებრივად, ყოველი ზნეობრივი და მატერიალური ღონე იღონა, რომ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკის დაარსება სინამდვილე გამხდარიყო. წინააღ თუ ჩრდილო კავკასიას აერთებდა არაბული ენა, ახლა ამის ალაგი უკავია თურქულ ენას. მთიელები დარწმუნე-



ბუღნი არიან, რომ ბრძოლა რუსულ საოკუპაციო კულტურასთან მათ შეუძლიათ მხოლოდ თურქულ-მუსულმანურ კულტურასთან დაკავშირებით. აწერბაიჯანელ მასწავლებლებს მნიშვნელობა ჩრდილო კავკასიაში დღეს არანაკლებია, ვიდრე როგორც ჰქონდათ ერთ დროს «ტარიკატის» მასწავლებლებს.

საუკეთესო იქნებოდა მთელი კავკასიისთვის, რომ აწერბაიჯანელების და მთიელების ძმური დამოკიდებულება და სულიერი ერთობა გაგრძელდეს კავკასიის ყველა ერის ურთიერთობაზე.

მაგრამ მიუხედავად ამისა, კავკასიის კონფედერაციის აშენება, როგორც ეს უნდათ «კავკაზ»-ის თანამშრომლებს, იმ ლოზუნგის თანახმად, რომ ჯერ მაკმადიანები და მერე ქრისტიანები—ყოვლად შეუწყნარებელია. ასეთი მეთოდი კი არ შეაერთებს, არამედ დაარღვევს კავკასიას.

ასეთი ტაქტიკა ვნებს ჩვენს საერთო საქმეს და ხელს უწყობს მტრებს. ეს ემსგავსება «სომეხ ქართველთა უნიონის» ტაქტიკას, რომელიც ეყრდნობოდა ქრისტიანულ ერთობას. თურქების და მუსულმანების ინტერესი არაა სრულებით კავკასიის ორ ბანაკად დანაწილება სარწმუნოებრივი განსხვავების თანახმად. მსგავსი დაყოფის შედეგი იქნება ის, რომ რუსეთი კვლავ დარჩება კავკასიაში ან ხელახლა დაიპყრობს მას.

კავკასიის ერთობის და დამოუკიდებელი კავკასიის განხორციელების საკითხებში ჩვენსა და ჩვენს ქართველ მეზობლებს შორის არ არსებობს არავითარი უთანხმოება. იმ ორგანიზაციების წარმომადგენელთა შორის, რომელთაც ხელი მოაწერეს კავკასიის კონფედერაციის პაქტს, დამყარებელია სრული თანხმობა როგორც გაერთიანების იდეოლოგიის საკითხებში (გაერთიანება კავკასიელების სარწმუნოების მიუხედავად), ისე კონფედერაციის რეალიზაციის შესახებ.

მებრძოლ კავკასიას ერთი მტერი ჰყავს, ჩრდილოეთით. სამხრეთით ჩვენ გვინდა ვიყოლიოთ მხოლოდ მეგობრები. დამოუკიდებელი და მთლიანი კავკასიის განხორციელება, ჩვენის გავებით, ეთანხმება როგორც თურქეთის ისე ირანის სასიცოცხლო ინტერესებს. კავკასიის კონფედერაციის საბჭო რომ სხვა ტაქტიკას მისდევდეს, მაშინ გაერთიანებულ კავკასიელთა შორის სომხების ადგილი არ იქნებოდა ცალიერი. მთავარი საკითხი, რომელიც გვთხოვს ჩვენ და სომხებს, არის ტაქტიკის საკითხი. ამ საკითხს ჩვენთვის კარდინალური და გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს».

**26 მაისი პარიზში**

26 მაისს საფრანგეთში მყოფ ქართველთა საზოგადოების გამგებმა ჟან გუჟონის დარბაზში მოაწყო სახეიმა მიღება, რომელსაც მრავალი საზოგადოება დაესწრო, როგორც ქართველები ისე უცხოელები. ზეიმი გახსნა კალონიის თავმჯდომარემ ბ. ვ. ლამბაშიძემ, რომელმაც წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა ფრანგულად და ქართულად. შემდეგ ილაპარაკეს ბბ. ხატისიანმა, პროკოპოვიჩმა და აბას ბეიმ. შემდეგ გაიმართა ქართული და ევროპული ცეკვა.

**სოზოს ქართველთა კოლონია და მათი 26 მაისის ღმრთაშაული**

სოზოს ქართველთა კოლონია პატარაა, ცოტა მეტი 40 კაცისა, მაგრამ თვალსაჩინოდ განიჩრევა სხვა საზღვარ-გარედ მყოფ ქართულ კოლონიებიებისაგან. მიუხედავად ფრაქციულ დაყოფისა, რაც ასე ჩვეულებრივია ჩვენს ემიგრაციაში, მათ შესძლეს შეკავშირება საერთო საქმისათვის, შექმნეს ასოციაცია, მოაწყვეს საკმაოდ დიდი და კარგი სასადილო, ქართული ბიბლიოთეკა და სამკითხველო (ბიბლიოთეკაში ორი ათასზე მეტი წიგნი აქვთ), შეკავშირებულნი არიან უცხოელებთან, უკრაინელებთან და კაზაკთ-სამოსტინელებთან, რომელნიც ჩვენსავით იტანჯებიან მოსკოვის უღელს ქვეშ და იღვწვიან განთავისუფლებისათვის. ესენი თავიანთ კრებებს მართავენ ამ სასადილოში, აქვე სადილობენ და მეგობრული განწყობილება აქვთ ჩვენებთან. სასადილო კარგად არის მოწყობილი, საკმელი კარგია და შედარებით იაფი. თუმცა ესლა სანოვაგე გაძვირდა, მაგრამ მათ ფასი სადილისა არ აუწყევიათ. სასადილოს ესლა ცოტა ვალი ადევს, მაგრამ ამას მოკლე ხანში მთლილებენ თავიდან. შემდეგ განხრახვა აქვთ საკუთარი სახლი აიშენონ გამგისათვის და კოლონიის იმ წევრთათვის, რომელთაც მუშაობა აღარ შეეძლებათ. ადგილი შენობისათვის საკმაო აქვთ. მდგომარეობა მუშებისა ესლა ბევრად გაუმჯობესებულია, მარტო ხუთ დღეს მუშაობენ კვირაში. შაბათი და კვირა თავისუფალი აქვთ. სამუშაო დღე რვა საათით განისაზღვრება. წინეთ თუ საათში სამ ფრანკ ნახევარს დებულობდენ, ესლა ექვსი ფრანკი აქვთ, უმეშვეარი არავინ არის. პეუოს დაწესებულება შედარებით სხვებთან უფრო ჰუმანიურია, ერთხელ მიღებულ მუშას სამსახურიდან არ ითხოვენ, თუ რაიმე დიდი დანაშაულობა არ ჩაიდინა; ვისაც მიწის შეძენა უნდა ან სახლის აშენება, ხელს უწყობენ, ერთ ორ ქართველს უკვე აქვთ თავიანთი სახლი, ერთ ორს კიდევ თავისი საკუთარი სავაჭრო კარგად მოწყობილი. დამოკიდებულობა პეუოს ქარხნის ადმინისტრაციასთან ქართველობისა კარგია, რასაც ხელს უწყობს ქართულ ასოციაციის გამგის ბნ ვლ. ბაქრაძის ტაქტი და უნარი. მუშათა შორის არის მთელი გუნდი ახალგაზდობისა, რომელნიც მოკლებულნი არიან სავალეობას სწავლა განაგრძონ და ეს ხნეობრივად, რა თქმა უნდა, სტანჯავთ მათ. ესენი უნდა დაეწაფონ თვითგანვითარებას, სხვა ღონე არ არის, მტკიცედ შეკავშირდენ, გამოიჩინონ ნებისყოფა, არ აყვეენ ვნებათა ლეღვას, ღვინის სმას, ქალაღის თამაშს და სხვას, შეუდგენ ქართული კულტურის შესწავლას. თვითგანვითარების საქმეში შეუძლია ხელმძღვანელობა გაუწიოს წრეს ფრიად განათლებულმა ბნ ვ. ემუხარმა, რომელიც სოზოსივე მსახურობს, და საკმაოდ კარგად არის მოწყობილი. ჩვენდა სასიამოვნოდ პარიზის ქართველი ახალგაზდობა და ინტელიგენცია ესლა იჩენს უნარს საკულტურო ნიადაგზე შეკავშირებისა, მართავენ კრებებს, აკეთებენ მოხსენებას, კითხულობენ რეფერატებს. ვინაიდან სავალეობა არ არის ეს რეფერატე-



ბი იბეჭდებოდეს, ამიტომ საჭიროა ისინი გადაიგზავნოს სოფოში და სხვა ადგილებში გასაცნობად, სადაც ქართველობა შეკავშირებულია. ერთი სიტყვით ყველა ქართველთ ახალგაზდათა და ინტელიგენტთა შორის უნდა აღდგეს კონტაქტი და გაიზარდოს მჭიდრო კავშირი ამ ნიადაგზე შეკავშირებისა და მუშაობისა.

ქართველ ბავშვების მდგომარეობა სოფოშიც ისეთი უნუგეშოა, როგორც პარიზში და სხვაგან ემიგრაციაში. მოკლებული არიან მშობლიურ ქართულ ენას. ემიგრაციის მომავალი თავიანთი მოგვლის მოძრაობისთვის. პარიზში ესლა ქალბატონ ს. კედისა დაუღალავის შრომით და სხვების დახმარებით შემდგარია «ქართული კერა», სადაც ასწავლიან ქართულ ენას, წერა-კითხვას, ლექსებს და მართავენ საბავშვო კრებებს და წარმოდგენებს. როცა ეს დაწესებულება გაიხსნა და გაუარყოფდა, თუ ქართველობამ შესძლო იქ თავიანთ ბავშვების თავის მოყრა, ამ საქმეს ასე თუ ისე რამოდენიმედ მინც ეშველება. აუცილებლად საჭიროა ამის მსგავსი რამ სოფოშიც შესდგეს. იქ ზოგიერთმა ყოფილი სოფლის მასწავლებელნი არიან და მათ შეუძლიათ ამ საქმის მოწყობა და მოგვარება, თუ მშობლები ხელს შეუწყობენ, იმედია ამაზე იზრუნებს სოფოს ქართული კოლონია. სასიამოვნო იყო ჩემთვის, როდესაც ჩვენმა ცნობილმა მოღვაწემ დ. ჭიბრაძის შვილმა მითხრა, თუმცა ოჯახური მდგომარეობა ხელს არ მიწყობდა, მაგრამ იმდენი მინც მოვახერხე, რომ ჩემი ქალი მე წერილს ქართულად მწერსო. სოფოს ქართული კოლონია ქართულ საკულტურო და საზოგადო საქმეში შეძლებისამებრ ყოველთვის თვალსაჩინო მონაწილეობას იღებს. საისტორიო და საარქეოლოგიო მასალების გამოცემისათვის ასოციაციამ ერთდროულად ათასი ფრანკის შემოტანა იკისრა, ხოლო მუშებმა ათ-ათი ფრანკი გაიწერეს თვითრად ერთის წლის განმავლობაში და 560 ფრანკი უკვე შემოიტანეს, ზოგიერთები მეტსაც გვპირდებიან.

26 მაისის დღესასწაული გადატანილ იქმნა შაბათს 29 მაისს, ვინაიდან ამ დღეს მუშაობა არ ჰქონდათ. ამ თარიღს კაზაკთა სამოსტინიკებმა შეუერთეს 20 წლის იუბილე ყველა კაზაკთა მხედრობის თავისუფლების გამოცხადებისა, ხოლო უკრაინელებმა დიდი უკრაინის თავისუფლების გამოცხადება, შესდგა საერთო კომისია დღესასწაულის მოსაწყობად. თვითუფლები კოლონიის გამგეობამ წარმოგზავნა კომისიაში ორ-ორი კაცი, ქართველებიდან დანიშნული იყვნენ მიხეილ ნადაშვილი და ილიკო სალუქვაძე, უკრაინელებიდან ილია დარმუხიდი და ჩინი, კაზაკებიდან პანტელეიმონ ლავროვი და ანდრუხა. კომისიის თავმჯდომარე იყო ილ. სალუქვაძე, მდივანი მიხ. ნადაშვილი. ამ კომისიამ საუცხოოდ მოაწყო დღესასწაული. პარიზიდან დღესასწაულზე დასასწრებად მიწვეული იყვნენ: სოფოს ქართულ კოლონიის საპატიო წევრი, ყოფილი საქართველოს რესპუბლიკის ელჩი, აკაკი ჩხენკელი და პროფ. ექ. თაყაიშვილი, კაზაკთა ატამანი ლენ. ბილიი ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო დღესასწაულს, მის მა-

გიერი იყო ბელფორის კაზაკთა სტანიციის ატამანი ბ.ნი ტისჩენკო, ხოლო დიდი უკრაინის წარმომადგენელად იყო თავმჯდომარე ცენტრალურ უკრაინის გრამადისა ბ.ნი ნ. შაპოვალა. სრულ დღისათ საათზედ გაიხსნა საზეიმო კრება მშვენიერად მორთულს ქართულ კოლონიის დიდ ზალაში, რომელსაც ამშვენებდა საგანგებოდ დახატული ქართული ღერბი, დროშები, ყვავილები და სხვა. კრება გახსნა კოლონიის თავმჯდომარემ ბ.მა ვლ. ბაქრაძემ, რომელმაც ერთობ მოხდენილი სიტყვით აღნიშნა მნიშვნელობა დღესასწაულისა, მიესალმა დამსწრე მეზობელ ერთა წარმომადგენლებს და პარიზიდან მოწვეულ სტუმრებს. ქართულმა ხორომ ბ.ნ შ. შენგელისა ლობტარობით შეასრულა ქართული ჰიმნი, «დიდება», შემდეგ ვრცელი და საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს ყოფილმა ელჩმა აკ. ჩხენკელმა, რომლის შემდეგ ხორომ იმღერა «სამშობლო». მერმე მოვისმინეთ ბელფორის თავისუფლო კაზაკთა ატამანის ბ.ნ ტისჩენკოს გრძნობიერი სიტყვა, რომელსაც მოჰყვა კაზაკთა ნაციონალური ჰიმნი კაზაკთა გუნდის მიერ შესრულებული.

შემდეგ რისიანი სიტყვა წარმოსთქვა უკრაინის ცენტრალ გრამადის თავმჯდომარემ ბ.მა შაპოვალმა, უკრაინის ხორომ ბ.ნ კაზალუპის ლობტარობით შეასრულა უკრაინის ნაციონალური ჰიმნი.

ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ექ. თაყაიშვილმა, ქართულმა გუნდმა იმღერა «ლაყვარდ ცაზე».

შემდეგ უკრაინულ ენაზე ლექსი წაიკითხა ბ.მა გაიდურჩკოვმა. ბოლოს საზოგადოებრივი სიტყვა წარმოსთქვა ქართული კოლონიის გამგეობის წევრმა ბ.მა ს. ჭირაქაძემ. შემდეგ ლექსი წაიკითხა ქართულად ბ.მა აბულაძემ. საზეიმო სხდომა დამთავრდა ქართულის და უკრაინული გუნდების მოხდენილი სიმღერებით. ყველა სიტყვები და გალობა-სიმღერები თუ დეკლამაციები მოსმენილი იყო დიდის ტაშისკვრით და ოვაციებით.

1 ნახ. საათზე გადაღებულ იქმნა დამსწრე საზოგადოების საერთო ფოტოგრაფიული სურათი.

სრულ ორ საათზე დღისა იმავე ღამეზედ მორთულს ზალაში გაიმართა «ბანკეტი» საგანგებოდ შემდგარი პროგრამით და საქმელთა სიით (მენიუ). კაცის თავზედ გადასახადი იყო მხოლოდ 20 ფრანკი, თუმცა პარიზში ასეთი რამ ორჯერ მეტი ეღირებოდა. ყველაფერი იყო ღამეზედ და მშვენიერად მოწყობილი. მოსიმღერე იყო სამი გუნდი ქართული, უკრაინული და კაზაკებისა. ბანკეტის თავმჯდომარედ ანუ თამადად არჩეულ იქმნა ჩვენი ყოფილი ელჩი ბ.ნი აკ. ჩხენკელი.

ბანკეტს დიდძალი ხალხი დაესწრო. თამადად მოხდენილის და შესაფერის სიტყვებით წარმოსთქვა სადღეგრძელოები, პირველად საფრანგეთის ერისა, რომელმაც ჩვენ თავის მიწა-წყალზე მიგვიღო და მასპინძლობას გვიწევს, შემდეგ მეზობელ მოკავშირე ერებისა, საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი მთავრობისა და მისი თავმჯდომარის ბ.ნ. ყორდანიასი, რომელსაც შესაფერი ტელეგრამა გაუგზავნა, შემდეგ დამსწრე საზოგადოების წევრებისა და სხვა. ყველა სადღეგრძელოებს მოჰყობოდა გა-



ლობა-სიმღერა ამა თუ იმა გუნდისა. წარმოითქვა მრავალი სიტყვები უკრაინის, კახაელების და ქართული კოლონიის წევრების მიერ. იყო ნამდვილი ქართული მოლხენა. ბანკეტმა სხუთ საათამდის გასტანა და საზოგადოთ მშვენივრად და მხიარულად ჩატარდა.

დღესასწაულის მესამე ნაწილს შეადგენდა ბალი, რომელიც მოწყობილ იქმნა იმავე ყვავილებით მართულ ზალაში. მოწვეული იყო ჩეხური ორკესტრი. მოწყობილი იყო ბუფეტი, ყვავილების, სერაპანტინის, სხვადასხვა ნიშნების და სათამაშო სამკაულების გაყიდვა, შემოსავალი საერთო კომიტეტის განკარგულებაში შედიოდა, შესვლა უფასო იყო, მაგრამ კომიტეტის დასტურით და რეკომენდაციით. დიდძალი ხალხი დაესწრო. ცეკვა იყო ევროპიული და ქართული (ლეკური). ბალი გაგრძელდა ღამის ორ საათამდის და ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

საზოგადოდ მთელმა დღესასწაულმა, წინდაწინ კარგად მომზადებულმა, მწყობრად, ღამაზად და მხიარულად ჩაიარა და დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ყველაზე.

შემდეგ დღეებში ბ-მა აკ. ჩხენკელმა ვრცელი მოხსენებები გაუკეთა ქართულ კოლონიას საერთაშორისო პოლიტიკის, ქართული საკითხის და ესლანდელი საქართველოს მდგომარეობის შესახებ, ხოლო ექ. თაყაიშვილმა სამი საღამო მოანდომა მათთან ბაასს, რომლის შინაარსი იყო მოკლე ისტორიული ცნობები სამუსულმანო საქართველოზე და მისი მოგზაურობა ამ მხარეში, აგრეთვე მოგონებანი ილია ჭავჭავაძის, გ. წერეთლის, აკაკი წერეთელის და სხვა ჩვენი თვალსაჩინო მოღვაწეების შესახებ.

საჭიროა კიდევ აღვნიშნოთ ერთი სასიამოვნო მოვლენა. სომოში შემთხვევით შეკრებილია საუცხოო ხმის მქონე ქართველები. უკეთესს ქართულს სიმღერას უცხოეთში თქვენ ვერსად ვერ გაიგონებთ. როგორც ვიცით, ამ გუნდმა ბ-ნ შ. შენგელიას ლიტბარობით ყენევაში «ფურორი» მოახდინა, რაც აღნიშნული იყო ყენევის გაზეთებში. ცოტა ვარჯიშობის შემდეგ, თუ მათში თანხმობა იქნება, მათ შეუძლიათ სხვადასხვა ქალაქებში მოაწყონ კონცერტები და დიდი სახელი გაუკეთონ ქართულ მუზიკას, რომელიც ასე უცნობია ევროპიელებისათვის. სულით და გულით ვუსურვებთ მათ ამ მიზნის განხორციელებას.

ე. თ.

### 26 მაისი ძ. მოგვლითი

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღე მოწვევით მყოფ ქართველობამ წელს განსაკუთრებული შინაარსითა და ზეიმით ჩატარა; ქართულ ზეიმს დაესწრო დიდძალი ფრანგობა, უკანასკნელთა შორის იყვნენ ყველა ეროვნულ, ანტიბოლშევიკურ პოლიტიკურ ორგანიზაციათა და პრესის ოფიციალური წარმომადგენლები. საზეიმო დარბაზი ეროვნული ფერებით იყო მორთული და სცენის მთელი შუაგული ქართულ დროშებს შორის წმ.

გიორგის ეკავა. ზეიმი გაიხსნა «დიდებით», რომელიც ადგილობრივ ქართულ გუნდმა შეასრულა სიმებიან ორკესტრთან ერთად. «დიდება»-ს მოჰყვა «მარსიეზი». დამსწრე საზოგადოებას მიმართა ჯერ ქართულად და შემდეგ ფრანგულად, მონპელის ქართველ საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნ ი. მქედლიშვილმა, რომელმაც თავის მოხდენილ და ღამაზ სიტყვაში აღნიშნა 26 მაისის ისტორიული ღირსება და მნიშვნელობა. ბ-ნ ვ. ციციშვილმა ფრანგულად წაიკითხა მოხსენება: «საქართველოს პოლიტიკური ისტორიისა და გეოგრაფიის შესახებ», მომხსენებელმა მთავარ ხაზებში აღწერა ქართველი ერის ისტორიული გზა და განვითარება; ფრანგი საზოგადოება ყურადღებით და ინტერესით ისმენდა მათთვის ჯერ კიდევ ბევრ უცნობ საბუთებს—საქართველოს ისტორიიდან.

ძვირფასი იყო ქართული სულის ბუნების ანალიზი და მისი შედარება რუსული სულის რაობასთან, დასაბუთებული ქართველი ერის და რუსი ხალხის ისტორიულ მასალებით.

ამას მოჰყვა საკონცერტო განყოფილების პირველი ნაწილი:

ქართული გუნდმა ღირსეულად შეასრულა რამდენიმე ხალხური სიმღერა. ქ-ნ ტიფფერიმ, ფრანგული ოპერის მომღერალმა, იშვიათი ხმითა და გრძობით იმღერა ქართული რომანსები: «ტყემ მოისხა ფოთლი», «შენ გეტრფი მარად» და «ნანა შვილო», ღამაზი და მომხიბვლელი იყო: «მხოლოდ შენ ერთს», «ერთხელ მე და შენ», «ლერწაში ხარ» და «ასე ამბობდა ქართველი» შესრულებული ქ-ნ თ. რუხაძისა და ბ-ნ ა. გველესიანის მიერ. იშვიათი გრძობით წაიკითხა ქართული ლექსი ეთერი რუხაძის ასულმა, რომელმაც შემდეგ, დიდის ოსტატობითვე დაუკრა პიანოზე მოცარტის ერთ-ერთი ნაწყვეტი. ასე დასრულდა ქართული ქართული ზეიმის პირველი ნახევარი.

შესვენების დროს, უცხოელ სტუმრებს ქართველი საზოგადოება საპატიო სასმელით გაუმასპინძლდა; ეროვნული კონსერვატორიის დირექტორმა ბ-ნ ლე ბუშემ, ფრანგ სტუმრების სახელით უღრმესი მადლობა გამოუცხადა ქართველ საზოგადოებას იმ ყურადღების და პატივისცემისათვის, რომელიც მათ ხვდათ წილად ქართულ ზეიმში მონაწილეობის დროს; მან თავისი სიტყვა ასე დაასრულა: «კულტურული საქართველო დღეს თავგამოდებით იბრძვის... საქართველოს ბრძოლა, ბრძოლა კულტურისა და ცივილიზაციის, ბოროტებისა და უმეტრების წინააღმდეგ! ქართველ ერს ურყევ რწმენით მივესალმებით, რომ საქართველოს აღდგომას ჩვენ მალე მოვესწრებით. ქართული სულის ბუნება თავდება მისი ბრწყინვალე გამარჯვების და ეს იქნება აგრეთვე კუთვნილი გამარჯვება ცივილიზაციისა».

ზეიმის მეორე ნაწილი დაიწყო მოხსენებით, რომელიც ფრანგულად წაიკითხა ბ-ნ დ. ხარისჭირაშვილმა, თემაზე: «საქართველოს ისტორიული მისია». მომხსენებელმა განიხილა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი უფლება საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, მისი დიპლომატიური ურ-

თიერთობა დასავლეთ ევროპასთან, რუსეთის ისტორიული ვერაგობა საქართველოს მიმართ და დასკვნა: რომ დღეს ყველა წავს გაიძახის, საქართველო კი ამ წავის დაცვისათვის საკუთარ სისხლსაც არ მოერიდება, რომ პატარა საქართველო ევლინება კაცობრიობას, ვით უანგარო გუშავი საერთაშორისო მშვიდობიანობისა და სამართლიანობის და ვინც ებრძვის ბოლშევიზმს ანუ რუსეთის პოლიტიკურ ავანაკობას, ის გვერდს ვერ აუხვევს საქართველოს გამართულ და სამაგალითო თავდადებას. მოხსენება საყურადღებო იყო. ამის შემდეგ, სიტყვა მოითხოვა წეიმზე მყოფ ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების სახელით ბნ მონკლიუმ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; მის უაღრესად პოლიტიკურ სიტყვას მთელი საზოგადოება ხშირი ტაშითა და «გაუმარჯოს საქართველოს» ძახილით მიესალმებოდა. ქართული წეიმი იშვიათ ანტიბოლშევიკურ მანიფესტაციად გადაიქცა. საქართველოს მაგალითი, მქერმეტყველ ორატორმა საკაცობრიო იდეალად დახატა, თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: «მე მოგმართავთ თქვენ, ტანჯული ერის შვილთ, ძვირფასო ქართველებო! მე ველაპარაკებთ ჭეშმარიტ ფრანგთა სახელით; ჩვენ, დიდი ერის შვილთ დიდი ყურადღება გვმართებს თქვენს მიმართ. პატარა საქართველო დიდ გაკვეთილებს აძლევს კაცობრიობას; ამას ჩვენ დღესგულწრფელად ვაღიარებთ. ჩვენ, განსაკუთრებით ფრანგებს დიდი სიფრთხილე გვმართებს, ჩვენ ვიცით, რომ თქვენი მტერი, ჩვენი მტერია. მტერი, რომელიც მშვიდობიანობის სამოსელში მოკაზმული, ევროპასაც ეპარება და თქვენ მამულიშვილნო! (მიმართავს ფრანგებს) აქ მოისმინეთ ჩვენი ტანჯული მეგობრების სიტყვები და განა საქართველოს წამება, მათ მიერ გადმოცემული, საერთაშორისო სინდისის წამება არ არის? ეს უნდა ვიცოდეთ ყველამ და უნდა ვსთქვათ ყველგან. ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ბოლშევიკებს, მოვიხადოთ ვალი არა მარტო ჩვენი ქვეყნის წინაშე, არამედ გმირული საქართველოს წინაშედაც, და ამით განვამტკიცოთ საფრანგეთ-საქართველოს მეგობრობა. საქართველო აღსდგება, ვითა სწორი სწორთა შორის! დიდება რაინდ ერს!» ბ-ნი მონკლიუ საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა.

დაიწყო კონცერტის მეორე ნაწილი. სიმებიან ორკესტრმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ადგილობრივი კონსერვატორიის პროფესორი ქ-ნი მ. მჭედლიშვილისა, შეასრულა «კავკასიური ესკისები», შემდეგ რამდენიმე ნაწყვეტი ქართულ ოპერებიდან: «აბესალომ და ეთერი», «დაისი» და «ლატავრა». ქართული მუსიკის საუკეთესო ნიმუშების უნაკლო შესრულებამ ფრანგ საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დასასრულ განმართა ქართულ-კავკასიური ცეკვა, რომლის მოხდენილი აკომპანიამენტო პიანოზე ეკუთვნოდა ქ-ნ ნ. ციციშვილისას. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ლამაზი და შეუდარებელი ცეკვა სიუზი ციციშვილის, ეთერი რუხაძის და ბნ შალვა და ზამბილ მაყაშვილებისა; ოთხივე, ეროვნულად ჩაცმულ-დახურული,

დამსწრე საზოგადოების დიდ ყურადღებას იპყრობდა. წეიმი დასრულდა «დიდების» და «მარსე-ენ» ის ჰანგებით.

მეორე დღეს, ფრანგულ პრესამ, საქართველოს და მის მოამაგეთ—საყურადღებო წერილები უძღვნა. —ლი.

26 მაისი კრალაში

ერთი მუჟა ქართველი ემიგრანტობა აქ დაჟინებით იგონებს საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავს და წელსაც, როგორც ყოველთვის, გადახდილ იქნა ეს დღესასწაული. გარეშე საზოგადოებაც არ აკლებს მას თავის ყურადღებას და ასეთივე ერთგულობით და სიმპატიით ესწრება ყოველთვის ბლომად ქართველებისთვის დიად ეროვნულ დღეს.

სტუმრების დიდ უმრავლესობას შეადგენენ დაჩაგრული ერების წარმომადგენლები და შვილები, ყოფილი რუსეთის იმპერიიდან. საწეიმო სიტყვაში ემ. ლომთათიძემ ხაზი გაუსვა შემდეგ გარემოებებს: ემიგრაციაში მყოფი ქართველები—მშობელი ერის წარმომადგენელი არიან, რადგანაც იციან, რა სურს მათ ერს, რომელსაც თავისუფლად ხმის ამოღება და ლაპარაკი არ შეუძლია თავის მიწა-წყალზე. ერთა ლიგა ჩვენ თავიდანვე მივიჩნიეთ დიდ ფაქტორად პატარა ერების დაცვის საქმეში და ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციაც დავაარსეთ ჯერ კიდევ თავისუფალ საქართველოში.

ქართველი ერი გაუტყნლად სდგას თავის ეროვნულ პოზიციებზე და ამზადებს კიდევ ახალ პოზიციებს, რომ საჭირო მომენტში ყოველ მხრივ შეიარაღებული დასდგეს მაგრათ ფეხებზე და არას დროს უკვე აღარ წაიქცეს.

ფრ. სოუკუპი თავის სიტყვაში ამბობს, რომ უძველესი და უკულტურესი საქართველოს მომავალი უზრუნველყოფილია და თვით დღევანდელი მართველები აღმოსავლეთ ევროპაში დადგებიან გარდაუვალი საკითხის წინაშე, რომ გადაიჭრას იქ საკითხი ერების და პიროვნების თავისუფლებისა. მოიხსენია დიდი პატივისცემით ნ. ყორდანი და განაცხადა, რომ დღევანდელი ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ბენეშის ყოფნა ამ პოსტზე ხელს უწყობს საქართველოს და ჩვენი ქვეყნის უფრო დაახლოების საქმეს.

შემდეგი სიტყვებით გამოვიდნენ უკრაინელები, ბელორუსები, ყალმუხები და რუსი ჩერნოვი.

ქ-ნ ნინო აილო-მაღალაშვილისამ შეასრულა ქართული ჰიმნი.

წეიმს მორიგეობით ხელმძღვანელობდნენ ემ. ლომთათიძე (ქართველ ემიგრანტთა საზოგადოების თავმჯდომარე) და ფრ. სოუკუპი, თავმჯდომარე «ჩეხოსლოვაკიის საზოგადოების საქართველოსათვის», სენატის თავმჯდომარე.



მგვიბთა ერთა ლიგაში

26 მაისს ქენევაში ერთა ლიგა ორი დღით არა-ჩვეულებრივ სესიად შეიკრიბა. ასეთი ექსტრა-ორდინალური ყრილობა იმართება მხოლოდ დიდ საჩქარო საკითხების გადასაჭრელად—მშვიდობიანობის დარღვევის წინამდებარე ზომების მისაღებად, ომის შესაჩერებლად და სხ.

შავი ღრუბლებით მოცულ ინტერნაციონალურ ცაზე, როცა ქართველის მოლოდინში ყველანი შიშისაგან შეპყრობილნი იყვენ, ბრწყინვალე მზის სხივებმა შემოანათა. ღრმად ჩაფიქრებულ, დაღრუჯილ სახეებს ღიმილი და მხიარულება დაეტყყო!

რა მოხდა? შეწყდა ისპანიაში თაფ-ზარბაზნების ქეჩა-ქუხილი, უსაშინელესი სამოქალაქო ომი? არა. ეს საკითხი ყრილობის დღის წესრიგიდან წინასწარ განდევნილ იქმნა.

განთავისუფლეს ეთიოპია, რომლის დასაცავად იმდენს გაპყვიროდენ გასულ წელს? არა. პირიქით, პირველხელაა, რომ მისი დელეგაცია ყრილობაზე არ მოსულა: ნეგუსს «შეაგნებინეს»—სწორედ იმათ, ვინც მას აქეზებდენ და მის დასახმარებლად ყველაზე მეტს ყვიროდენ!—ყრილობაზე დელეგაცია არ გამოეგზავნა. წინამდებარე შემთხვევაში მისი ერთა ლიგიდან გამორიცხვის საკითხი ახლავე დაისმებოდა და გადიჭრებოდა კიდევ...

მაშ, რად შეიკრიბა ექსტრაორდინალური ყრილობა და რა გააკეთა ასეთი სასიხარულო, საზეიმო? ფარაონთა ქვეყანა მან ერთა ლიგის, მსოფლიო ოჯახის თანასწორ წევრად გახადა: მკვდრეთით აღდგენილმა ეგვიპტის დამოუკიდებლობამ უზენაესი კურთხევა მიიღო!


ბიზანტიის დაცემას, ოსმალს მცირე აზიაში ვაბატონებდა მოყვა ამ ვაბატონების გაფართოება ევროპის ზოგ ქვეყნებში და აფრიკეთის სწორედ იმ ნაწილზე, რომელთანაც ის ხმელთაშუა ზღვითა დაკავშირებული. მართლაც, მეთუთხმეტე საუკუნეში სულთანმა სელიმმა დაიპყრო ნილოსის ნაპირზე მდებარე დიდი ქვეყანა ეგვიპტე (1.000.000 კვ. კილომეტრი, ე. ი. გერმანიაზე ორჯერ უფროსი და დღე მხოლოდ 15 მილიონ მცხოვრებია), დააწესა იქ თავისი მართველობა და თავისი მოადგილე დანიშნა. ოსმალეთისაგან ეგვიპტის ასეთ დამოკიდებულებას საერთაშორისო უფლებების ენაზე სუზერენობას უწოდებდენ, მაგრამ შინაარსი ამ ტერმინს სახსებით არ ამართლებდა შემდეგ, როცა ინგლისის იმპერიამ დაიწყო აყვავება ინდუსტრიულ და კომერციულ საუცხოვო განვითარების გამო, ბუნებრივად მისი ეკონომიური გავლენა მთელ ქვეყნიერობაზე საგრძობელი უფრო—განსაკუთრებით კი იქ, სადაც ამას მისი პირდაპირი ინტერესები მოითხოვდა. ამიტომ ეგვიპტეს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ მფლობელთან მეორე ბატონი შეეძინა. ინგლისმა მას მიაღებია ხელშეკრულება, რომლის ძალით ინგლისელი ამ ქვეყანაში თავისუფალი იყო გადასახადებისაგან, არ ექვემდებარებოდა ადგილობრივ იურიდიქციას, რაც არ უნდა ჩაედინა, მთავ-

რობა მას ხელს ვერ ახლებდა. ერთი სიტყვით, უბრალო მოქალაქე სრული ექსტერიტორიალური უფლებით იყო აღჭურვილი. ამას უწოდებოდა «კაპიტულაციის რეჟიმი». ვინაიდან ასეთი რეჟიმის მართვით ერთი სახელმწიფოსათვის არსებობა შეუძლებელი იყო, ინგლისმა ის ევროპის სხვა ქვეყნებს და ჩრდილოეთ ამერიკას გაუზიარა კვლავ ხელშეკრულებების ნიადაგზე. პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მხრით კი ეგვიპტე დარჩა ძველებურად ოსმალეთისგან დამოკიდებული დიდ ომამდის. ხოლო 1914წ. ინგლისმა თავისი ძლიერი სამხედრო ფლტი გამოიყვანა ხმელთაშუა ზღვაში, მოსჭრა ეგვიპტე ოსმალეთის იმპერიას და ჩააყენა ჯარი. ეგვიპტე არ ურიგდებოდა ამ მდგომარეობას. ომის გათავების შემდეგ ის რანდენიმეჯერ კიდევ აჯანყდა, მაგრამ ვერ გაიმარჯვა. 1922 წ. ინგლისი მიიწვია წავიდა ზოგიერთ დათმობაზე და მიანიჭა მას ადგილობრივი ავტონომია. ეგვიპტე ბრძოლას განაგრძობდა და მოითხოვდა სრულს დამოუკიდებლობას. ამ დროს მოუსწრო იტალია-ეთიოპიის ომმა. ეთიოპია დამარცხდა, გაქრა როგორც სახელმწიფო. ხოლო ეგვიპტე დამოუკიდებელი გახდა...

ეგვიპტის დამოუკიდებლობის აღდგენა დიდი თარიღია ინტერნაციონალურ ცხოვრებაში საზოგადო და კერძოდ საქართველოსათვის.

მისი დიდი ინტერნაციონალური მნიშვნელობა უდავოა: ერთა ლიგა, რომლის უმთავრეს ბოძთაგანი ინგლისია, კრიზისს განიცდის. უძველესი ცივილიზაციის დიდ ერის ლიგაში შესვლა ქენევის ორგანიზმს უთუოდ გაამაგრებს მორალურად და პოლიტიკურად, მით უმეტეს, რომ ეს მოხდა თვით დიდი ბრიტანეთის თანხმობით და დახმარებით. ეს კი მაჩვენებელია ლიგის ხაზის გამარჯვების, სწორ გზაზე შედგომის.

ფრიად საყურადღებოა ის, რომ ეს მიღება მოხდა განახლებულ თურქეთის წარმომადგენლის, საგარეო მინისტრ რუშტუ არას თავმჯდომარეობით. მან პატივად და ბედნიერებად მიიჩნია მისალმებლობა, როგორც ყრილობის თავმჯდომარე, საერთაშორისო ტრიბუნლიდან იმ ქვეყნის განთავისუფლებას, რომელიც ოთხ საუკუნის განმავლობაში თვით მისი სამშობლოს უღელს ქვეშ გმინავდა. გულწრფელი და კეთილშობილი იყო დიდ ბრიტანეთის წარმომადგენლის იდენის სიტყვა. მჭერმეტყველურად გამოსტყვა საფრანგეთის მაღალი გრძობები სავარეო მინისტრმა დელბოსმა. აღსანიშნავია კარგი სიტყვა ჩეხოსლოვაკიის საგარეო მინისტრ კროფტასი, რომელიც მან «მცირე ანტანტის» სახელით წარმოსტყვა. მხურვალედ მიესალმენ ეგვიპტეს ყველა დელეგაციები: პოლონეთის, შვეციის, ირანის, ურუგვაის, მექსიკის, პორტუგალიის, ავღანისტანის, ჩინეთის და სხ. გარდა... საბჭოთა კავშირის წარმომადგენელ ლიტვინოვისა. ეს სიჩუმე ნათლად დალადებს იმ შიშს, რომელსაც განიცდიან ძალმომრეობით შექმნილ «კავშირის» წარმომადგენელი. იმათ იციან, რომ მათ არ შესწევთ გამბედაობა და კეთილშობილება დიდ ბრიტანეთისებური მოქმედებისა;



კარგად იციან, რომ საბჭოებში ძალად მომწყვდეული ერები უმათოდ და მათ წინააღმდეგ მოვლენ ერთ დღეს ერთა ლიგაში და რომ ლიტვინოვები ვერ იქნებიან იმ საპატივო რაოდენობაში, რომელშიდაც რუსეთი არასი იყო და ვერც იდენისებურ პატიოსან სიტყვის წარმომტქმელნი. მათ მომავალი არ აქვთ. ამით აიხსნება ლიტვინოვის სიჩუმე და არა უმანკოებით ან ლაპარაკის არ სურვილით.

რამდენად დაამწყურბრა და დაამუნჯა საბჭოთა რუსეთი ეგვიპტის განთავისუფლებამ და ერთა ლიგაში ასე თავაწეულ ამჟამად შესვლამ, იმდენად განახრა და აღტაცებაში მოიყვანა თავისუფლების მოყვარული შვეიცარიის უძველესი დემოკრატია. ეს გრძნობები თავისებურ მუერმეტყველებით გამოსტყვა პრეზიდენტმა მოტამ. 26 მაისს მან ორი ფრიად აღგზნებული და მშვენიერი სიტყვა წარმოსტყვა: პირველი—«სერკლ დელა პრესის» მიერ ეგვიპტის დელეგაციის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე, რომლის საპატივო თავმჯდომარე თვით მოტა იყო; მეორე—4 საათის შემდეგ, ყრილობის ტრიბუნიდან ეგვიპტის ერთა ლიგაში მიღებისას.

ეგვიპტე ღირსეულად იყო წარმოდგენილი თვით მთავრობის თავმჯდომარე ნაპას ფაშას მეთაურობით. ეს მოქნილი სახელმწიფო მოღვაწის ტიპია. მან თავის საპასუხო სიტყვაში განაცხადა ეგვიპტის ერთა ლიგაში მოსვლა რწმენის და უფლების აქტითა.

26 მაისს, ქართველი ერის დიად დღეობას, ახლა კიდევ ახალი მნიშვნელობა ემატება: 26 მაისს შედის ერთა ლიგაში მისი ძველი მოძმე ერი—განთავისუფლებული და დამოუკიდებელი. ეს არის მისთვის მაგალითი და იმედი. უძველეს ცივილიზაციის ერთა შორის—საბერძნეთის და ეგვიპტის—საქართველომ ყველაზე უფრო გვიან დაჰკარგა დამოუკიდებლობა, უფრო დიდხანს შეინახა თავისი ფიზიონომია. ეს მოწმობს მის ბრძოლის უნარს, მის ნებისყოფას წარსულში, გაცილებით უარეს პირობებში. დღეს მის წინაშე ფართე პერსპექტივებია. მისი მომავალი თვით ქართველებზე დამოკიდებული. საქმარისია მხოლოდ ამ თაობამ გამოიჩინოს რაოდენიმედ თავის წინაპრების გამძლეობა.

ბ. შავიშვილი.

**ფერილი ამერიკიდან**

მეორე მოვლენა, რომელიც თითქმის ჩრდილავს სასამართლოს რეფორმის კითხვას არის «გაფიცვები დაჯდომით». ნამდვილად არავინ იცის, სად აღორძინდა ეს მოვლენა. ზოგნი ამბობენ, საფრანგეთიდან მოვიდაო, იქი ინდოეთიდან, სადაც ინდოეთის ბელადმა მაჰათმა განდიმ იხმარა პირველად ეს ზომა ინგლისის წინააღმდეგო. ზოგიერთნი უფრო შორს მიდიან და ბიბლიაში ეძებენ პირველ შემთხვევებს. ასე თუ ისე, აქ ამ მოვლენამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ბევრ ასავას სისხლის ღვრაც მოჰყვა. დამქირაველებმა სასამართლოს მიმართეს, რომელმაც გამოიტანა განაჩენი, რომ ეს ზომა ბრძოლისა არის

საკუთრების ძალით ხელში ჩაგდება და უზურპატორობა. სასამართლოს დადგენილება ბევრგან პოლიციამ ძალით მოიყვანა სისრულეში, რასაც რასაკვირველია მოჰყვა შეტაკებები...

მაგრამ ამ ტრადიციულ მოვლენებს ამერიკულ წესით კომედიაც გაერია. შეიქნა «დაჯდომით გაფიცვები» იქ, სადაც ვერავინ მოელოდა. ზოგან თვით დამქირაველები «გაიფიცნენ დაჯდომით». ლოგინი და სანოვავე ქარხნის ოფისში მოიტანეს, თავის ქარხნის ყოველნაირი მასალის ყიდვა გაყიდვა შესწყვიტეს და ხანგრძლივ გაფიცვას შეუდგნენ. ამ შემთხვევაში მუშებმა პირველად შესწყვიტეს «დაჯდომითი გაფიცვები» და დამქირაველების მოთხოვნის უფლებას ხელი მოაწერეს... იყო «დაჯდომითი გაფიცვები» ბავშვების მიერ სკოლებში, დიასახლისების მიერ სახლში და ოფისებში, სამარის გამთხრელების მიერ სასაფლაოზე, მუნიციპალიტეტის უვარგის ქუჩებში ავტომობილების, მატარებლის და სხვა.

ამისთანა სამსახრო მოვლენებმა იმოქმედა თუ დრომ მოჰამა, «დაჯდომითი გაფიცვები» დღეს თან დათან ნელდება. მაგრამ მუშათა მოძრაობა ამით არ შეჩერებულა; პირიქით, ის ახლა უფრო კანონიერ და უფრო ფართო მიმართულებას ღებულობს. ჯერ კიდევ შარშან წინ კონგრესმა დააკანონა ეგ. წოდებ. ვაგნერის აქტი, რომლის ძალით მუშებს ეძლეოდა «კოლექტიური ვაჭრობის» ნება, ე. ი. შეერთება, რომელიმე უნიონის მიმხრობა და ამ ძალით კოლექტიურად მდგომარეობის გაუმჯობესება. როგორც პრეზიდენტ რუზველტის ზოგი საადმინისტრაციო აქტი, ესეც საეჭვო იყო და ბევრი დამქირავებელი შეებრძოლა კოლექტურ მოთხოვნილებებს და ბევრგან მოძრაობის მეთაური მუშები სამუშაოდან დაითხოვეს. საქმე ვილაცამ განასაჩივრა და გასულ აპრილს უმაღლეს სასამართლომ ეს აქტი იცნო კანონიერად. ამით მუშათა მოძრაობამ დიად მოიგო. ყველგან დათხოვნილები უკან იქნენ მიღებული, გაცილებით დროის სამუშაო ქირის მიცემით (იყო შემთხვევა 19 თვის ქირის დაბრუნების). ეს უმაღლეს სასამართლოს დადგენილება იყო მეტად საყურადღებო, ხუთმა მსაჯულმა კანონს მისცა ხმა და ოთხმა წინააღმდეგ. ამით პრეზიდენტი რუზველტი და მისი მომხრენი სრულებით არ მორბილდნ სასამართლოს რეორგანიზაციის შესახებ. პირიქით, ისინი უთითებენ იმას, რომ ეს უმრავლესობა მაჩვენებელია, თუ რა განსაცდელშია კანონმდებლობა...

დღეს მუშათა მოძრაობაში დიდ როლს თამაშობს მალარტების მუშათა ორგანიზაციის თავმჯდომარე ჯონ ლუისი. იმის წინამძღოლობით ეს ორგანიზაცია ორი წლის წინად ატლანტიკ სიტინში გამართულ კონფერენციანზე ნახევარი მილიონი წევრით გამოეყა ამერიკის სამ მილიონიან მუშათა ფედერაციას, რომლის თავმჯდომარე არის ვილიამ გრინი (ამერიკის მუშათა ფედერაცია დაარსდა 1881 წელს, მისი პირველი თავმჯდომარე ორმოცი წლის განმავლობაში იყო სამეულ გომპერსი; მეორე არის გრინი).

განხეთქილება ამ ორ მუშათა ორგანიზაციას შორის თანდათან მატულობს.



შეერთებულ შტატებში სულ 50 მილ. მომუშავე ითვლება. აქედან 14 მილ. დამკირავებელი და პროფესიის ხალხია. 15 მილ. ფერმებში მომუშავე. დანარჩენი 21 მილ. ინდუსტრიაში და სხვა სამუშაოზე. ამ უკანასკნელ რიცხვიდან მხოლოდ 5 მილ. მუშა არის ორგანიზაციაში მყოფი. აქედან 3 მილ.-მდე ეკუთვნის ამერიკის მუშათა ფედერაციას და ამ უკანასკნელ ორ წელში ლუისის «ინდუსტრიალური ორგანიზაციის უნიონი» გაიზარდა ორ მილიონამდეო, რომელიც თანდათან მატულობს. ლუისის მიზანია ყველა მუშები შეერთოს და «კოლექტიური ვაჭრობის» საშვალეებით მათი ეკონომიური მდგომარეობა გააუმჯობესოს.

«საცხოვრებელი ქირა ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, ჩვენ გვინდა მეტი»-ო, ამბობს ლუისი.

მისი გავლენა დიდ და დიდ იზრდება. ის დიდ როლს თამაშობს უკანასკნელ ხანებში გამართულ გაფიცვებში, რომელსაც ეშველება რჩევით და ორგანიზაციის ფულით.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ პრეზიდენტის შემდეგ დღეს ყველაზე პოპულიარული თუ სალაპარაკო პიროვნება ბ. ლუისი არის. ის არის 57 წლისა, მისი მამა იყო ინგლისიდან მოსული და აქ ქვის ნახშირის მალაროებში მომუშავე. ჯონი სასოფლო სკოლის გათავების შემდეგ მალაროებში მუშაობდა, სადაც 1919 წ. თავმჯდომარე იქნა არჩეული. თავის ნიჭით, მეცადინეობით და ცოლის, ყოფილი მასწავლებლის, გავლენით დღეს ლუისი კარგი ერუდიციისაა. მასთან ის კარგი ორატორია და მაგარი, აგრესიული, უხეში ხასიათის. ლუისის ოფისი ვაშინგტონშია და იქიდან სტრატეგიულ განკარგულებას აძლევს თავის ორგანიზაციას. პრესა ხანდახან ჭორობს, რომ ის პრეზიდენტის დიდი მეგობარია და თვითონაც ოცნებობს გახდეს პირველი მუშა პრეზიდენტიო. ის უპარტიო არის, როგორც არის მისი ორგანიზაცია და ამერიკის მუშათა ფედერაცია, თუ პარტიობას არ დაუძახებთ მათ მიერ პრეზიდენტ რუზველტის მხარის დაჭერას.

საერთოდ, ამერიკელ მუშას პოლიტიკა ბევრად არ აწუხებს, რეჟიმით კმაყოფილია. მას მხოლოდ ხელფასის მომატება და სამუშაო დროს დაკლება აინტერესებს, რასაც ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური მთავრობა თანდათან ეხმარება. ამის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ პრეზიდენტის უკანასკნელ არჩევნებში კომუნისტების კანდიდატმა ვერ ღირსი ვადერმა მხოლოდ ოთხმოცი ათასი ხმა მიიღო, როცა პრეზიდენტ რუზველტმა ოცდაშვიდი მილიონი და რესპუბლიკანელების კანდიდატმა ლანდონმა თექვსმეტი მილიონი.

ნაურო.

**ბერლინის ამბავი**

21 მაისს ბერლინში, ჰუმბოლდტის კლუბში საჯარო მოხსენება გააკეთა აზერბაიჯანის პრობლემის შესახებ მუსავატის პარტიის ლიდერმა მემედ ედინ რასულ-ხადემ. მოხსენებას დაესწრო მრავალრიცხოვანი საზოგადოება: გერმანულ ოფიცია-

ლურ უწყებათა წარმომადგენელი, პრესის თანამშრომელი, მეცნიერული მოღვაწენი და მრავალი სხვა დაინტერესებული პირი. მოხსენების წინ ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა ცნობილმა თურქოლოგმა იეშეკემ, რომელიც ერთ დროს თბილისის გერმანული საკონსულოს წევრიც იყო (1924—1926 წლებში), ვრცლად გააცნო საზოგადოებას მომხსენებლის პიროვნება. შემდეგ მომხსენებელი მიესალმა დამსწრეთ თავის მშობლურ ენაზე. ეს მისალმება, როგორც თვით მოხსენება გერმანულად გადათარგმნა «კურტულუშის» რედაქციის წევრმა პილალ მუნშიმ. მოხსენებაში აღნიშნული იქნა, რომ აზერბაიჯანის პრობლემა კავკასიის პრობლემის განუყოფელი ნაწილია და ხაზი გაუსვა კავკასიის კომუნისტური იდეას და საამისოდ ბრიუსელში 1934 წლის ივლისში დადებულ პაქტის მნიშვნელობას. მოხსენება მთელმა გერმანულმა დიდმა პრესამ დღმა თანაგრძობით აღნიშნა.

26 მაისს საღამოს საქართველოს დამფუძვლებლობის დღის აღსანიშნავად გერმანიაში მყოფ ქართველთა საზოგადოების გამგეობამ გამართა საზეიმო კრება.

ამავე დღეს დღითი ქართულ პრესის ბიუროს გარშემო თავი მოიყარა ქართველმა. კავკასიელმა და მოსახლვრე თანამებრძოლ ერების წარმომადგენლებმა. წარმოითქვა დღის შესაფერი სიტყვები.

29 მაისს ბერლინში მცხოვრებ სომეხთა შედარებით მრავალრიცხოვანმა კოლონიამ გამართა ტრადიციული დამფუძვლებლობის დღესასწაული მოხსენებებით, მხატვრული განყოფილებით და ცეკვით. მთავარი მომხსენებელი იყო ჩვენი მკითხველისთვის უკვე ცნობილი გერმანელი პროფესორი რორბახი. ამან მოაგონა დამსწრეთ, თუ რამდენი დღეს უკვე თავისუფალი ვართ იყო ამ ასი თუ ასორმოდ აათი წლის წინ დამონებული და თუ როგორ ძნელი წარმოსადგენი იყო მაშინ ბევრისთვის ამათი განთავისუფლება; მაგრამ ცხოვრებამ ამ ბევრთა პესიმიზმი არ გაამართლა და ასევე და კიდევ უფრო მეტად უადგილოა ასეთი პესიმიზმი დღეს მონობაში მყოფი ერებისთვის, განსაკუთრებით სწორედ რუსეთის უღლის ქვეშ მყოფი კულტუროსანი ერებისთვისო. დამსწრე საზოგადოებამ, რომელშიაც მრავალი ქართველი, უკრაინელი, გერმანელი და სხვა ერებიც იყვენ წარმოდგენილნი მზურვალე ოვაცია გაუმართა მცხოვან მომხსენებელს.

გამოვიდა მეორე და მესამე ნუმერი ბიულეტენისა «Die Befreiung» ის (განთავისუფლება), რომელიც ემსახურება კავკასიის ერთა განთავისუფლების საქმეს.

**საქართველოს ამბავი (გაზეთებიდან)**

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა «საქართველოს საბჭოთა მწერლების რიგებიდან გარიცხა ქართველი ხალხის მტერი ნ. მიწიშვილი, რომელიც იმალებოდა საბჭოთა მწერლის ნიღაბს ქვეშ». პრეზიდიუმმა გარიცხა აგრეთვე ბ. ბუა-



ჩიძე «როგორც ტროცკისტულ-ავერბახული კონტრევოლუციონური ჯგუფის პირწავარდნილი ავენტის».

— საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის საგანგებო კომისია ამზადებს რუსთაველის საიუბილეო დღესასწაულს.

— პეტერბურგის ერმიტაჟი და საჯარო ბიბლიოთეკა მართავენ რუსთაველის გამოფენებს:—გამოცემული იქნება სხვათა შორის ე. მარის ყველა ნაწერი ვეფხვის ტყაოსნის შესახებ.

— რუსთაველის პრესპეტზე შენდება მთავრობის სახლი, ცხრა სართულით და 400 ოთახით. სახლი უნდა დამთავრდეს ოქტომბერში.

**ბ ი ბ ლ ი ო ზ რ ა ზ ი ა**

ი. მანწკავა: ქართული ახრევნების განვითარება მე-19 საუკუნეში. ნაწილი პირველი. პარიზი 1926 წ.

ამ წიგნის გამოსვლა სიამოვნებით უნდა აღინიშნოს. მისი თემა საინტერესოა და იგი დაწერილია სავსის ცოდნით და ნიჭიერად. ავტორი ეხება ჩვენი ისტორიის ერთ-ერთს უმნიშვნელ ოვანეს პერ იო დს, რომელიც სამწუხაროდ აქამდის საკმაოდ შესწავლილი და გამოკვლეული არაა და რომელსაც თანამედროვე ქართველობის ფსიქიკისა და სოფლმხედველობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს საშინაო და საგარეო პირობები მე 18 საუკუნეში, რუსეთის შემოსვლა და მისი ვერაგული პოლიტიკა, ეროვნული რეაქცია—აჯანყებები და მერე შეგუება უცხო მართველობის—აი მთავარი საკითხები წიგნის, რომელიც შედარებით მცირე ზომისაა (117 გვ.), მაგრამ საყოფნ მასალას აწვდის მკითხველს და აძლევს მას საშუალებას ნათლად გაერკვეს მდგომარეობაში. ავტორი ფხიზელი მსჯელობის პატრონია, განყენებულ თეორიას არ მისდევს, ყოველთვის ახლო დგას ფაქტებთან და ერიდება უსაფუძვლო ჰიპოთეზებს და დასკვნებს. გარდა წინასიტყვაობისა წიგნში შვიდი თავია: მე 18 ს. ჯვარდინი, საქართველო და რუსეთი, პრესის დასაწყისი, 1832 წ. შეთქმულება, შეთქმულთა პოლიტიკები, ქართველ მოღვაწეების გაორება და 40-50 წლები. უკეთესად აქვს ავტორს აწერილი მე-18 საუკუნიდან მეცხრამეტეში გადასვლა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, 1932 წ. შეთქმულება და ქართველ მოღვაწეების გაორება, როგორცაც გვაძლევს გრ. ორბელიანის, დ. ყიფიანის და თვით ნ. ბარათაშვილის პიროვნებანი, რომელთა ცხოვრება ღრმა დრამატუზმითაა აღსავსე. თუმცა ეს ყოველთვის არ სჩანდა გარედ.

ვურჩევთ უცხოეთში მყოფ ქართველებს აუცილებლად გაეცნონ ბ. მანწკავას წიგნს, რომელიც ეხება ჩვენი ქვეყნის ახლობელ წარსულს, მაგრამ რომელიც ამავე დროს არის გამოხმაურება ჩვენი დღევანდელიობის.

პარიზში გამოვიდა გ. გვაზავას გალექსილი ქართული ხალხური ზღაპარი «როსტომელა».

**კავკასიის დღესასწაული**

27 მაისს «La Marquise de Sévigni»-ს დარბაზში გაიმართა კავკასიის დღესასწაული, რომელსაც დაესწრენ, როგორც კავკასიის ერების წარმომადგენლები, ისე უკრაინელები, თურქესტანელები და ცნობილი ფრანგი საზოგადო მოღვაწენი.

ატმოსფერა ფრიად მეგობრული და ინტიმურია, ამ საერთო განწყობილებას თითქმის ავსებს და ალაამაზებს დარბაზის აღმოსავლური მოკაზმულობა, რომლის კედლებიდან აღმოსავლეთის მხატვრული ნიმუშები ასე მომნიბლავად გამოიყურებიან.

კავკასიის საბჭოს სახელით დღესასწაულს ხსნის საქს-ს ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნ. ყორდანი. ის თავის მოკლე და მოხდენილ სიტყვაში ფრანგულ ენაზე ახასიათებს კავკასიის ერების თავგანწირულ ბრძოლებს დამოუკიდებლობისათვის. დაბოლოს ის გამოსთქვამს იმედს, რომ ქედმოუხრელი კავკასია, რუსეთის სხვა ჩაგრულ ერებთან ერთად, დაამხსნერვეს მოსკოვის ტირანიას და თავისუფლებას დაიმკვიდრებს.

დამსწრე საზოგადოება მსურვალე ტაშით აჯილდოვებს ბ. თავმჯდომარის იმედიან სიტყვას.

ამის შემდეგ გაიმართა ჩაი და მეგობრული მუსიკა, სადაც მასპინძლები აცნობდენ უცხო მეგობრებს კავკასიის ხალხების წარსულ და დღევანდელ ბრძოლებს თავისუფლებისათვის.

სალამოს 7 საათზე საზოგადოება მეტად ნასიამოვნები დაიშალა.

**პ ა ნ ა შ ვ ი ლ ე ბ ი**

კვირას 13 ივნისს პერ ლაშენის სასაფლაოზე გადახდილ იქნა კ. ჩხეიძის ხსოვნის პატივსაცემლად სამოქალაქო პანაშვიდი.

კვისას 27 ივნისს პანაშვიდი იქნა გადახდილი ქ. ჩოლოყაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად ს. უკნის სასაფლაოზე.

**ლექცია რუსთაველზე**

27 მაისს რომში საჯარო ლექცია წაიკითხა ბ. ნ. ინგილომ იტალიურად «რუსთაველი და მისი ეპოქა». უადგილობისა გამო ანგარიშს დაებეჭდავთ შემდეგ ნუმერში.

გავითისათვის დასაბეჭდი მასალები და ფული

უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r PIRTSKALAVA

10, rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)

France.